პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

6 თებერვალი სამშაბათი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 31 (15548)

გეგმაც, ხარისხიც

მიმდინარე ხუთწლედში მკვეთრად გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი. — ასეთი პუნქტი ხაზგასმით შეიტანეს თავიანთ ვალდებულებებში თბილისის წინდების ფაბრიკა „კრწანისის“ მუშებმა და მოსამსახურეებმა, და ამ ვალდებულების შესრულებისათვის ბევრ კარგ ღონისძიებას ახორციელებენ. მაგალითად, საქსოვ საამქროში დადგეს „დანა-8“ სისტემის ახალი ავტომატი, რომელიც ყოველ ერთ წუთში მზა წინდას უშვებს.

პროდუქციის ხარისხის ხრულყოფისათვის ლაშქრობაში ხაწარმოს ყველა უბანი, თვითეული მუშა ჩაება. ნაკისრია გაზრდილი სოციალისტური ვალდებულებები. მჭსოველებს გადაწყვეტილი აქვთ წლიური გეგმის გადამეტებით დაამზადონ 70 ათასი წყვილი წინდა.

ხურათზე: თბილისის წინდების ფაბრიკა „კრწანისი“. უფროსი კონტროლიორი ლამარა ჭაჭუაია და უფროსი ოსტატი ციმარ ალიხანაშვილი ამოწმებენ ნაწარმის ხარისხს.

ა. საპკოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მოვალეობის გრძნობა

ადამიანი! ასე პატივისცემით იხსენიებს ხალხი ჩვენში იმათ, ვინც პატიოსნად იძულებით კი არა, ნამუსისთვის შრომობს საზოგადოების სასარგებლოდ, განუხრელად იცავს მის სოციალისტურ ზნეობრივ ნორმებსა და მოთხოვნებს, შეგნებული აქვს მთელი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა სამშობლოს წინაშე.

საბჭოთა ადამიანისათვის დამახასიათებელი მოვალეობის მაღალი გრძნობა ვლინდება მის ყოველდღიურ საქმეებსა და საქციელში. ამ კეთილშობილურმა გრძნობამ შთააგონა შესანიშნავი შრომითი მიღწევები ლენინგრადის კიროვის ქარხნის მხეზავს ევგენი ლებედევს და დონბასელ მეშახტეს ვლადიმერ მურზენკოს, მაგნიტოგორსკელ მეფოლადეს იური კარტაშოვსა და კუსტანაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორს ჯანსულტან დემეევს, წარმოების ათასობით, მილიონობით მოწინავეს ქალაქად და სოფლად. საბჭოთა ადამიანებმა მთელი სულითა და გულით აღიქვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწოდება ხალხისადმი: „ჩვენი სამშობლოს ყველა მშრომელის პატრიოტული მოვალეობაა დაუცხრომლად იბრძოლონ დასახული გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, იყონ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების აქტიურ მონაწილეთა რიგებში“.

ПРАВДА

5 თებერვლის მოწინავე

მოწინავეთა სულიერი სახისა და ხასიათის საერთო ნიშნები კარგად გამოხატა წარჩინებულმა მოსკოველმა მქსოველმა სოციალისტური შრომის გმირმა მარიამ ივანიკოვამ სიტყვებით: „ყოველ ჩვენგანს თავისი შემოქმედებითი გეგმები, თავისი სამუშაო უბანი აქვს. მაგრამ ყველა ჩვენგანს აერთიანებს ნამდვილი ენთუზიაზმი, მომთხოვნელობა თავის საწარმოო, მოქალაქეობრივ, ადამიანურ მოვალეობათა შესრულებისადმი“.

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების, მეცხრე ხუთწლედის დავალებების შესრულებისათვის ბრძოლაში ახალი ძალით ვლინდება თვითეული მშრომელის დაინტერესება მთელი საზოგადოების, მთელი ჩვენი ქვეყნის საქმეებით. სამშობლოსადმი თავდადებული სამსახური ცხოვრების მიზანია საბჭოთა ადამიანისათვის, რომელიც ქვეყნის კეთილდღეობასა და ბედნიერებას ყველაფერზე მაღლა აყენებს. საზოგადოებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერი შესრულება დიდ შინაგან კმაყოფილებას ჰგვრის ჩვენს ადამიანებს.

მასების მზარდი სოციალისტური შეგნება კომუნისტური პარტიის დიდი და ნაყოფიერი იდეურ-პოლიტიკური მუშაობის შედეგია. იგი ყველაფერს აკეთებდა და აკეთებს იმისათვის, რომ მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას განუვითაროს ახალი საზოგადოების აქტიური მშენებლისათვის აუცილებელი თვისებები. მასების კომუნისტური საზოგადოებრივი შეგნების ჩამოყალიბება მუდამ პარტიის ცენტრალური ამოცანა იყო. კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში წინსვლასთან, ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის დონის ამაღლებასთან ერთად ამ ამოცანას კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება.

„კომუნიზმის თვით არსი, — თქვა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა მოხსენებაში სსრ კავშირის ორმოცდაათი წლისთავის შესახებ, — განისაზღვრება იმით, რომ მოქალაქეებს აქვთ მაღალი შეგნება და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა, მაღალი ზნეობრივი თვისებები. სწორედ ამიტომ ყველა მოქალაქის საზოგადოებრივი შეგნების აღზრდა, კომუნისტური მშენებლობის პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია“.

ამ აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაფართოებისა და სრულყოფის საჭიროება დაკავშირებულია სწორედ ქვეყნის ეკონომიური განვითარების თანამედროვე ეტაპის თავისებურებებთან. სოციალისტური ეკონომიკისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწეული დონე მოითხოვს არა მარტო მაღალ პროფესიულ კვალიფიკაციას, არამედ უნაკლო შრომის დისციპლინასაც, პატიოსნებას, ორგანიზებულობას, ადამიანის მოქალაქეობრივ სიმწიფეს.

ჩვენი საზოგადოება ძლიერია თავის მოქალაქეთა შეგნებით. მისი სახელმწიფო კანონები და მორალური პრინციპები მიზნად ისახავენ ყველა მშრომელის საზოგადოებრივი აქტივობის, განუხრელ აღმავლობას. მოქალაქეობრივი მოვალეობის შეგნება უკარნახებს ადამიანს არათუ თვითონ მოიქცეს ღირსეულად და იმუშაოს მთელი ძალღონით, არამედ ყოველნაირად ეცადოს, რომ ასევე გულმოდგინედ ეკიდებოდნენ საქმეს სხვებიც, ზრუნავდეს კოლექტიური, საერთო ინტერესებისათვის. სწორედ ამ მოქალაქეობრივი ზრუნვით არის ნაკარნახევი საბჭოთა ადამიანების გაბედული გამოსვლები შრომის დისციპლინისა და წესრიგის დარღვევების, ლოთობისა და ხულიგნობის ყოველგვარ ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა წინააღმდეგ. მაღალი შეგნებისა და მოვალეობის გრძნობის გამო ისინი ვერ ურიგდებიან შრომისა და სოციალისტური საკუთრებისადმი დაუდევარი, ფუქსავატური დამოკიდებულების, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების უგულებელყოფის ფაქტებს. საწარმოთა, მეურნეობათა, ორგანიზაციათა კოლექტივები მკაცრად მოჭკითხავენ იმათ, ვინც იყიწყლებს თავის მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს. ამავე დროს საბჭოთა მოქალაქეებისათვის უცხოა ობივატელური გულგრილობა ამა თუ იმ აღამიანის ეღირსი საქციელისადმი წარმოების გარეთ, ყოფაცხოვრებაში.

მშრომელთა აღზრდა საზოგადოებრივი მოვალეობისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით უწინარეს ყოვლისა ნიშნავს, რომ დღენიადაგ ვზრუნავდეთ მათი პოლიტიკური განათლებისათვის, იდეური და კულტურული ზრდისათვის. უნდა უზრუნველყოთ კოლექტივის კეთილნაყოფიერი გავლენა თვითეულ ადამიანზე. აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა მასობრივი ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის დონეზე. ადამიანებში მოვალეობის, საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარების ქმედითი საშუალება გახდა მუშათა და კოლმეურნეთა კრებები. დიდი აღმზრდელობითი როლი შეასრულეს, მაგალითად, საქართველოს სსრ ბევრ საწარმოსა და სოფლებში მუშათა კრებებმა და სასოფლო ყრილობებმა, რომლებიც შრომის ნაყოფიერების გადიდების, შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საკითხებს მიეძღვნა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოზარდი თაობის კომუნისტური შეგნების ჩამოყალიბებას. ამისათვის საჭიროა კომკავშირის, სკოლის, საზოგადოებრიობის კიდევ უფრო აქტიური და მრავალმხრივი ერთობლივი საქმიანობა. „ახალი ვითარება ოჯახში, სასწავლო-აღმზრდელობ ი თ ი პროცესისა და დასვენების სწორი ორგანიზაცია — ერთი სიტყვით ახალგაზრდობაზე სულიერი ზემოქმედების ყველა ფორმის სწორად გამოყენება. ასეთი ზემოქმედების დიდი ძალა აქვს უფროსების მაგალითს, საზოგადოების წინაშე მოვალეობის თავდადებული შესრულების მაგალითს.

პარტიულმა ორგანიზაციებმა, კომუნისტებმა უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ ყოველ კოლექტივში, მოსახლეობის ყველა ჯგუფში შექმნან ერთმანეთისადმი ამხანაგური მომთხოვნელობის ატმოსფერო, რომელიც ხელს უწყობს მოქალაქეობრივი თვითშეგნების ზრდას. ეს არის საბჭოთა ადამიანების კეთილსინდისიერი შრომისა და მაღალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის იმ ამოცანების თანმიმდევრული გადაჭრის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი პირობა, რომლებიც სკკპ XXIV ყრილობამ დაგვისახა.

საზოგადოებრივი მოვალეობის მაღალი შეგნება, რომელსაც კომუნისტური პარტია უნერგავს მშრომელებს, მძლავრი მორალური ძალაა იმისათვის, რომ მტკიცედ დავძლიოთ ყოველგვარი სიძნელენი დასახული გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში, განუხრელად ვესწრაფოდეთ ახალ წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობაში.

მაღალი ტემპით

ქუთაისი. (საკ. კორ.). საწარმოო-სამკერვალო გაერთიანება „ფულათის“ კოლექტივი ფართოდ გაეშალა მოწინავეობის ხუთწლედის გადამწყვეტი მესამე წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ. ნაკისრი ვალდებულებნ ითვალისწინებს გეგმის ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლით 25 დეკემბრისათვის შესრულებას, პროდუქციის უდღესკმტრდ დამზადებას და ტექნიკური კონტროლის განყოფილებაზე პირველი წარდგენისთანავე ჩაბარებას.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. აქ ყოველდღიურად ჯამდება შეჯიბრების შედეგები, ჭლინდებიან გამარჯვებულნი, ისახება ღონისძიებანი ჩამორჩენის დასაძლევად.

პროდუქციის რეალიზაციის იანვრის დავალება გაერთიან ვ ბ ამ 111 პროცენტით შეასრულა, ხოლო სასაქონლო პროდუქ ც ი ის წარმოებისა 104,5 პროცენტით. წარმოებიდან მოიხსნა ძ ვ ე ლ ი მოდელები, მათ მაგივრად ათვისებულია მამაკაცისა და ბავშვის პერანგების ახალი მოდელები.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში დაწინაურდა № 1 სამკერვალო საამქრო რომელსაც კომუნისტი ი. ჩიხლაძე ხელმძღვანელობს. ბრიგადებს შორის ჯველას უსწრებს № 5 ბრიგადა, რომლის ხელმძღვანელია ი. ჯანელიძე.

კარგად ორგანიზებული სოციალისტური შეჯიბრება შრომის მაღალი ტემპის უზრუნველყოფის საფუძველია.

1974 წლის ანგარიშში

ნაკლები მუშახელით მეტი პროდუქცია

საფეიერო საწარმოში შვიდი წლის მუშაობის გამოცდილება მაქვს. ამ მოკლე დროში ბევრი რამ შეეცვ ა ლ ა, ავიმაღლეს კვალიფიკაცია, ყოველდღიურ დავალებას დიდი გადაჭრებით ვასრულებ. ამეამად 1974 წლის ანგარიშში ვმუშაობ.

ვემსახურები ოთხ ახალ საქსოვ მანქანას. ვეგმით ყოველდღიურად უნდა მოვქსოვო 290 მეტრი ქსოვილი, ფაქტიურად 350 მეტრს ვქსოვ. ცხადია, ამას მანქანების მოცდენის შემცირებით ვაღწევ. ჩვენი ქვეოსტატი 16 მანქანას ემსახურება. არის შემთხვევები, როცა სამი და მეტი მანქანა ერთდროულად გაჩერდება. ამ შემთხვევაში მოცდენები გაიზრდება, თუ მქსოველმა ვერ შეძლო ზოგერთი წვრილმანი დეფექტის გამოსწორება. პირადად შემიძლია გავარკვიო დაზგის გაჩერების რამდენიმე მიზეზი და დროულად გამოვასწორო ისი.

როგორც მოგეხსენებათ, ახლა მუშახელი ბევრ საწარმოში აკლია, ამ მხრივ არც ჩვენი საქსოვი წარმოებაა გამონაკლისი. ჩვენი ბრიგადა 16 დაზგასთან მუშაობს, ე. ი. თვითეულ მქსოველზე ოთხი მანქანა მოდის. არის შემთხვევა, როცა მქსოველი ვერ გამოდის სამუშაოზე. ერთ ღლეში ოთხი დაზგის მოცდენის გამო დანაკლისს შემდგომში გადაფარავ ძალიან გვიძძის. ასეთ შემთხვევაში მოწინავე მქსოველები ოთხი დაზგის ნაცვლად ამ დღეს ექვსზე ვმუშაობთ, ამიტ თავიდან ვიცილებთ ჩამორჩენას.

არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ამის გაკეთება ყველა ბრიგადაში შეიძლება. ეს კი საშუალებას მოგვცემს ვიქონიოთ გეგმის შესრულების სრული გარანტია.

მომსახურების ზონის გაფართოებები ჩვენ შეგვძლები ნაკლები მუშახელით გამოუშვათ მეტი პროდუქცია და ამით ღირსეული წვლილი შევიტანოთ ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის გეგმის შესრულებას საქმეში.

ნ. პოსოდოვი.

თბილისის მაუდ-კაშვლის კომბინატ „საბჭოთა ხალხთა თეფლის“ მქსოველი.

500-კილოვოლტიანი

ზესტაფონი. რამდენიმე წელია ზესტაფონელან ათიოდე კილომეტრზე სოფელ კოხრაში დგას და მუშაობს საქმიანერვნერგოს 220-კილოვოლტიანი ქვესადგური, ახლახან მის კომპლექსს შეემატა 500-კილოვოლტიანი ძაბვის ქვესადგური და მისი მბიშვნელობა მეტად გაიზარდა, რადგან უკვე ამ მძლავრმა ენერგეტიკულმა კვანძმა მომავალში 500-კილოვოლტიანი ძაბვის გადამცემი ხაზებით ერთმანეთს უნდა დაუკავშიროს თბილისის სახელმწიფო რაიონული თბოელექტროსადგური, ენგურჰესი და ამმეკრის ქვესადგური. ამით ამერიკაკავკასიისა და საქართველოს ენერგოსისტემები შეფერთდება საბჭოთა კავშირის ერთიანი ენერგოსისტემის ევროპულ ნაწილს.

ქარაველი დამპროექტებელი და მშენებელი ენერგეტიკოსების საასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამერიკაკავკასიაში პირველად დაპროექტეს და აშენეს 500-კილოვოლტიანი ძაბვის, უნიკალური ქვესადგური, როგორც ღია, ისე დახურული ქვესადგური აშენებულია ისაწყობი უნიფიცირებული კონსტრუქციებისაგან. ამ ტექნიკურმა სიახლემ საგრძნობლად შეამცირა მშენებლობის დრო და საშენებლო ხარჯები.

პროექტი შეადგინა „ენერგოელეპროექტის“ საძიებო-საგამოკვლევო და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საქართველოს განყოფილებამ (დირექტორი ი. კეშულარია, მთავარი ინჟინერი რ. ებრაელიძე, პროექტის მთავარი ინჟინერია ეთერ პაპავა, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შეასრულა „კავკასელექტროსელმშენის“ ტრესტის (მთავარი ინჟინერი ა. გიგინეიშვილი) № 1 მექანიზებულმა კოლონამ (უფროსი შ. ავალიანი მთავარი ინჟინერი ს. ღვინეფაძე, უბნის უფროსი ა. ტყეშელაშვილი).

ვ. თოფურია.

ინჟინერი.

მეტალურგთა მოწინავე გრიგადები

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ფეროშენადნობთა ქარხნის მეტალურგებმა გამართულად დაიწყეს ახალი სამეურნეო წელი, გადაჭარბებით შეასრულეს ლიმონის გამოდნობის იანვრის გეგმა და 700 ათას კილოვატ-საათზე მეტი ელექტროენერგია დაზოგეს. ზეგეგმიოს პროდუქციას იძღვიან საამქროთა კოლექტივები, რომლებსაც ინჟინერ-მეტალურგები ნ. ჯაფარიძე, ა. ბოკორიშვილი და ს. ლეკვეიშვილი უძღვებიან. მამაცურად შრომობენ საამქროთა ოსტატები, სოციალისტური შრომის გმირები კ. მდივანი და კრ. ანნიტაშვილი, მდნობელთა კომუნისტური შრომის ბრიგადები, რომლებსაც ვ. გელაშვილი, ჯ. ბარდაველიძე, ვ. არაბიძე, ვ. კაპანაძე, ნ. მესხი და სხვები თავკაცობენ.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციისა და მშრომელთა წერილებზე მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით „რესპუბლიკის პარტიულ საბჭოთა, პროფკავშირულ და სამეურნეო ორგანოებში მშრომელთა მიღების გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1972 წლის 7 დეკემბრის დადგენილების შესაბამისად მიღო დადგენილება, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, გარდა უკვე დადგენილი დღეებისა, მშრომელებს მიიღებენ ორშაბათობით 15-დან 20 საათამდე. მშრომელთა მიღებაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მისაღები მუშაობს ყოველდღიურად 9-დან 20 საათამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს დაეგალათ თავიანთ საარჩევნო ოლქებში დაწესონ მიღების დღეები და საათები ამომრჩეველთათვის მოსახერხებელ ადგილას არასამუშაო საათებში.

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სოფლო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს დაეგალათ გაუმჯობესონ მუშაობა მშრომელთა მიღების ორგანიზაციისათვის. ამისათვის მათ სათანადო პირობები უნდა შეუქმნან მშრომელთა დეპუტატების უმაღლესი, სოფლო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და საადამო საბჭოების დეპუტატებს ამომრჩეველთა მიღებისათვის საარჩევნო ოლქების მიხედვით. საჭიროა შეარჩიონ შესაფერისი შენობები, ამასთან დეპუტატები უზრუნველყონ იურიდიული, საცნობარო და საინფორმაციო მასალებით; სისტემატურად გააანალიზონ ამომრჩეველთა მიღების დროს წამოჭრილი საკითხები, განიხილონ ისინი აღმასკომების სხდომებზე და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი საჩივრების გამომწვევ მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად; მიღების საათებში არ გამართონ სხდომები, თათბირები და სხვა ღონისძიებანი და არ დაუშვან მოქალაქეთა მიღების ჩაშლა.

(საქინფორმი).

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ!

ზედიზედ უშვებენ ნაღნობს

ლიხვინი, 5 თებერვალი. (საკ. კორ.). პირველი ათასი ტონა თუჯი მიიღეს წუხელ მეხუთე ბრიგადაში, ფიმელიც ნოვოლიპეცკის მეტალურგიულ კომბინატში ერთ დღე-ღამეზე ცოტა მეტი ხნის წინათ ამოქმედდა. აქ სამუშაოდ გამოგზავნეს ლიპეცკის მაგნიტკის საუკეთესო მებრძმედეები. მათ მაშინვე კარგად მოიწყვეს საწარმოო პროცესები.

წარმატებით ამოქმედა ბრძმედი და დაიწყო დნობა, მაგალითად, ბრიგადამ ოსტატის — მეტალურგიის ვეტერანის ვასილ მაკარის ძე პანიანიშვილის ხელმძღვანელობით. მისგან ესტაფეთა მიღეს და პირველი ცალი ლითონი აიგსეს არანაკლებ გამოცდილმა „ასებმა“ სერგი თევდორეს ძე პახომოვის მეთაურობით. შემდეგ ზედიზედ გამოუშვეს ნაღნობი ვასილ ნიკოლოზის ძე ბოროდინისა და ანატოლი პავლეს ძე ბუხოვის ბრიგადებმა. ისინი აქტიურად ჩაებნენ სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში და ვალდებულება იკისრეს, გადაჭარბებით შეასრულონ თავიანთი წლიური დავალებანი.

ახალ ბრძმედს, როგორც ვიცით, ჯერჯერობით ბადალი არა ჰყავს არც საბჭოთა კავშირში, არც ევროპაში. მისი სასარგებლო მოცულობაა 3.200 კუბური მეტრი. მეტალურგებმა პირველი დღეებიდანვე დაიწყეს ბრძოლა საპროექტო სიმძლავრის ვადამდე ათვისებისათვის. ამ მიჯნის მიღწევის შემდეგ მძლავრი თუჯსადნობი აგრეგატი წელიწადში გამოუშვებს 2,2 მილიონ ტონა თუჯს.

ᲡᲐᲥᲗᲚᲝᲕᲐᲝ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲒᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ

საბჭოთა სამგზავრო გემების ფლოტილია მიმდინარე ხუთწლედში მიღებს კარგ შევსებას — ახალი კონსტრუქციის კომფორტულ საბორნოსამგზავრო თბომავლებს, რომლებიც განკუთვნილია საკრეიზო მოგზაურობისათვის. ყოველი მათგანი იტევს 500 ტურისტსა და 255 მუბუქ ავტომობილს. ცხრაბანიანი ლაინერი, რომლის სიგრძე 150 მეტრს აღემატება, განავითარებს 21 კვანძამდე სიჩქარეს.

ამ დიდი სერიის გემებს გადაწყვეტილი აქვთ დაარქვან საბელები მოკავშირე რესპუბლიკების პატივსაცემად. საბჭოთა კავშირის შეკვეთით მათი მშენებლობა დაიწყო ფინეთში. პირველ თბომავალს „ბელორუსიას“ წყალში ჩაუშვებენ გაისად. ამ სერიის მომდევნო ხომალდი იქნება „საქართველო“. იგი შავის ზღვის ტრასებზე შეიკრების ამავე სახელწოდების გემს, რომელიც ჯერ კიდევ 1939 წელს აშენდა, ხოლო თბომავალი, რომელმაც მოიხადა თავისი სამსახურის ვადა, სასტუმროდ გადაკეთდება (საკადესის კორ.).

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲔᲕᲨᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲐ

მურმანსკი. თევზკომბინატში დაიწყო ჩრდილოეთში უდიდესი სამედიცინო და ტექნიკური ქონის ქარხნის მშენებლობა. საწარმოს აშენებენ თევზსაჭერ ნავსადგურში, ხოლო ნედლეულს ქარხნის საამქროები სარეწებიდან მოსულ ტრალერებიდან მიიტებენ.

ახალი საწარმოს სიმძლავრეა 60 ათასი ტონა თევზის ქონი დღე-ღამეში. (საკადესის კორ.).

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ

რასაც დათესავ, იმას მოიმკი

ნაფნი. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა კონკურტული ვალდებულებანი აიკისრეს 1973 წელს მარცვლეულის მოსავლიანობის მკვეთრად გადიდებისათვის და მეცხრე ხუთწლედის გადამწყვეტი წელი დამკვრელურ წილად გამოაცხადეს. სწორედ ახლა ეყრება საფუძველი მარცვლეულის უხვი მოსავლის მიღების საქმეს. კიდევ რამდენიმე კვირა, და გაზაფხული კარს მოგვადგება. ზონგან მარტიდან დაიწყება ხაგაზაფხულო თესვა. ამიტომ მთავარი ის არის, რომ სანიმუშოდ მოვემზადოთ თესვისათვის.

სანამ პრაქტიკულად შეეჯდგებოდეთ თესვას, საჭიროა გადავეფიოთ თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მოსავლიანობის გადიდების გადამწყვეტ წყაროს — თესლეულის მომზადებას. არ უნდა დავივიწყოთ ქართული ანდაზა, რომელიც ამბობს, რასაც დათესავ, იმას მოიმკიო.

გადაეხედოთ თესლის მომზადების მაჩვენებლებს. მეთესლეობის ინსპექციების სამმართველოს 1 თებერვლის ცნობებით რესპუბლიკის მოსავლიანობის მკვეთრად გადიდებისათვის და მეცხრე ხუთწლედის გადამწყვეტი წელი დამკვრელურ წილად გამოაცხადეს. სწორედ ახლა ეყრება საფუძველი მარცვლეულის უხვი მოსავლის მიღების საქმეს. კიდევ რამდენიმე კვირა, და გაზაფხული კარს მოგვადგება. ზონგან მარტიდან დაიწყება ხაგაზაფხულო თესვა. ამიტომ მთავარი ის არის, რომ სანიმუშოდ მოვემზადოთ თესვისათვის.

სანამ პრაქტიკულად შეეჯდგებოდეთ თესვას, საჭიროა გადავეფიოთ თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მოსავლიანობის გადიდების გადამწყვეტ წყაროს — თესლეულის მომზადებას. არ უნდა დავივიწყოთ ქართული ანდაზა, რომელიც ამბობს, რასაც დათესავ, იმას მოიმკიო.

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ

ᲠᲐᲭᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

ᲠᲐᲭᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

ᲠᲐᲭᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

ᲠᲐᲭᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

ᲠᲐᲭᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

ᲠᲐᲭᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

ᲠᲐᲭᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

ᲠᲐᲭᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

ყველას რომ კარგად ეშრომა!..

საქმიანი ანალიზი, კონკრეტული ღონისძიებანი

საკოლოფეურნეო სოფელში ვიდრე საგაზაფხულო სამუშაოებს შეუდგებოდნენ, კოლმეურნეები საანგარიშო ან საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე ერთხელ კიდევ უკეთებენ ანალიზს წინა წელს გაწეულ მუშაობას და საზავენ ღონისძიებებს ნაკლოვანებათა დასაძლევად, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების, მოსავლიანობის გასაზრდელად, საკოლმეურნეო დოვლათის გასამრავლებლად.

ასეთ მიზანს ემსახურებოდა თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ჯორჯიაშვილის კოლმეურნეობის საანგარიშო კრებაც, რომელიც ამ დღეებში გაიმართა. ამ კრებას სოფლის მშრომელების გარდა ესწრებოდნენ მეზობელი სოფლის — ასურეთის კოლმეურნეები, რომლებთანაც ჯორჯიაშვილელებს ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება აკავშირებთ.

ცუდად არ უმუშავნიათ კოლმეურნეებს გასულ სამეურნეო წელს. მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა, მათ საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 14,8 ცენტნერი მარცვალი, საწარმოო გეგმა კი 12,7 ცენტნერს თვალისწინებდა. დამზადებულია 2.524 ტონა პირუტყვის საკვები, ანუ გეგმასთან შედარებით ერთნახევარჯერ მეტი. გადაჭარბებით არის შესრულებული ნორცის, რძის, კვერცხის, მატყლისა და სხვა პროდუქტების როგორც წარმოების, ისე სახელმწიფოსათვის მიყიდვის, პირუტყვის სულადობის, ნამატის მიღებისა და სხვა გეგმები. თუმცა ეს მაჩვენებლები გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ კოლმეურნეობას მაქსიმალურად გამოეყენებინა არსებული რეზერვები, შესაძლებლობანი, უკეთ გასაღოლოდნენ მეურნეობას.

კოლმეურნეობის საერთო წარმატებებზე, რომ ლაპარაკობდნენ, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. ბეჭაურმა, აგრეთვე კამთის მონაწილეებმა — ბრიგადირმა ა. ოგანოვმა, კოლმეურნეობის აგრონომმა ლ. დალაქიშვილმა, ზოოტექნიკოსმა ნ. მესტვირიშვილმა და სხვებმა ქებით მოიხსენიეს საკოლმეურნეო შრომის მოწინავენი. აი ისინიც: ბრიგადირები მ. აფციაური, უ. დალაქიშვილი, ა. ბაპაშვილი; რიგითი კოლმეურნეები — ა. ბეკალრიშვილი, თ. ქორორაშვილი, ნ. ქავთარაძე, ქ. რამაზაშვილი, მ. პოილარაშვილი, თ. ბაიდაშვილი, ნ. ჯაბიაშვილი, ე. ბაპაშვილი, ს. დავითაშვილი, თ. აფციაური, ბ. ბურდელაძე, ნ. საგინაშვილი და სხვები.

ამასთან ერთად მონაწილენი გამბედულად ლაპარაკობდნენ კოლმეურნეობის საქმიანობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე, ამხილებდნენ ამ მხრივ კონკრეტულ დამნაშავეებს.

შარშან კოლმეურნეობამ ბოსტნეულის, ხილისა და ყურძნის მოსავლიანობის გეგმები ვერ შეასრულა. საშუალოდ ჰექტარზე აქ მიიღეს 43 ცენტნერი ბოსტნეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 113 ცენტნერისა. ცენტნერი ბოსტნეულის წარმოებაზე აქ რამდენიმე მანეთი გადახარჯეს, გეგმასთან შედარებით 17-ჯერ შეამცირეს ყურძნის მოსავლიანობა, ხოლო ორნახევარჯერ — ხილისა. თუმცა ისიც აღინიშნა, რომ ასეთი დაბალი მოსავალი ძირითადად ცუდმა ამინდებმა გააპირობა.

გაუკეთეს რა ანალიზი აღნიშნულ ჩამორჩენას, კრების მონაწილეებმა სამართლიანად მიუთითეს, რომ კოლმეურნეობის გამ— ჩვენი კოლმეურნეობის მშრომელები — თქვა თავის გამოსვლაში მოწინავე მწველავმა **გ. ტურაშვილმა**, ფართოდ გამოეცხადნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებას, რომლითაც მოწონებულია" მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, საწარმოო-ორგანიზაციების მშრომელთა კოლექტივების ინიციატივა — სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის განმტკიცების შესახებ.-ეს აუცილებელი და საჭირო ღონისძიებაა. **მ. ტურაშვილმა**, აგრეთვე ჯორჯიაშვილის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ **ვ. კიკოლაშვილმა**, კომკავშირის ორგანიზაციის მდივანმა **ფ. პაპაშვილმა** და პენსიონერმა კოლმეურნემ **ა. ჯორჯიაშვილმა**, ილაპარაკეს იმ დიდ შედეგზე, რაც უკვე მოჰყვა ხუცუბნელთა და ტყვიაველთა ინიციატივებს შედეგად განხორციელებულ ღონისძიებებს. კოლმეურნეობაში უკვე ითობით ადამიანი დაბრუნდა და პატიოსან შრომას შიჰყო ხელი. განმტკიცდა შრომის დისციპლინა, ამაღლდა პასუხისმგებლობის გრძნობა.

იმის გამო, რომ კოლმეურნეობაში ზოგიერთი დარგის განვითარებისათვის საჭირო ზომებს არ ღებულობენ, შექმნილია მძიმე ფინანსური მდგომარეობა. მაგალითად, კრების მონაწილეთა ყურადღება გამახვილებულ იქნა იმაზე, რომ შარშან კოლმეურნეობაში წმინდა მოგება უნდა ყოფილიყო 63 ათასი მანეთის ოდენობით, ფაქტიურად კი იყო მხოლოდ 17.000 მანეთი. კოლმეურნეობას მარიგებს 178 ათასი მანეთი სახელმწიფოს სესხი.

თავიანთ გამოსვლებში კოლმეურნეობის თავმჯდომარემ **შ. ბეჭაურმა** და სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა **ო. დალაქიშვილმა** ფართო ადგილი დაუთმეს კოლმეურნეობაში მექანიზაციის განვითარების საქმეს, ამ მხრივ არსებულ ნაკლოვანებებს. მექანიზაცია შედარებით ნაკლებად არის გამოყენებული სიმინდისა და სხვა სათოხნი კულტურების დამუშავებაში. კოლმეურნეობას არა ჰყავს მექანიზატორთა სათანადო კადრები. აქ 20 ტრაქტორი და 17 ტრაქტორისტია (?!). წელს ზოგიერთი მანქანა ვერ შეაკეთეს სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო. „საქსოფლტექნიკა" ვერ უზრუნველყოფს კოლმეურნეობას საჭირო მასალებით, ნაწილებით.

კრებაზე მთელი სიგრძე-სიგანით განხილულ იქნა ბოლოს ინტერესებისათვის. ისინი ეყრდნობიან საბჭოთა ხალხის თანასწორუფლებიანობას — რასის, ეროვნების, სქესის, სარწმუნოების და სხვათა მიუხედავად. სხვა მდგომარეობაა კაპიტალისტურ ქვეყნებში: კანონი იცავს კაპიტალისტების ინტერესებს: იქ კანონი „ამა ქვეყნის ძლიერთა" მხარეზეა. იქ ყველაფერი ფულით იყიდება, — პატიმინდა ლა ადამიანის ღირსებაც. კაპიტალისტურ ქვეყნებში, მაგალითად, ქორწინება განიხილება როგორც საშეკალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება. განქორწინებას, როგორც წესი, საფუძველად უდებს მეუღლეთა ლატაკი. განქორწინება არსებითად განიხილება როგორც სანქცია. ჯ. ი. როგორც მეუღლის დასჯა ღანაშაულისათვის. ამის შედეგად არსებობს წესი, რომლის მიხედვითაც დაზარალებულ მეუღლეს უფლება ეძლევა აუანზღაურდეს „ზარალი". მაგალითად, ქმარს, რომელსაც ცოლმა უღალატა, შეუძლია წარუდგინოს სარჩელი იმ პირს, ვისთანაც უღალატა ცოლმა. მას ანდერძებენენ გარკვეულ თანხას, რითაც სასამართლო განსაზღვრავს ქმრის მორალურ ტანჯვას. ჩვენში ასეთი მორალური ნორმები, რასაკვირველია, მეუღლეთა. სამართლებრივი კულტურა არ არის მხოლოდ კანონის ცოდნა, მისი პატივისცემა, არამედ მისი განუხრელად შესრულებაც არის. სამწუხაროდ, ზოგჯერ სასამართლოსა და პროკურატურის მუშაკები გამოთქვამენ აზრს, რომ ზოგჯერ კანონის სიტყვა-სიტყვით მეფადანონურად დაცვა არ არის საჭირო. მათი აზრით, ასეთ შემთხვევაში მოსამართლეს შეეძლოთ მაინც დამაინც არ მიჰყვეს კანონს. ზოგი კონკრეტული ხაარის გადაწყვეტის დროს ციდილობენ „შეასწორონ" კანონი. ეს ყოველად დაუშვებელია. მაგალითად, ჩვენს რესპუბლიკაში საბინაო საქმეთა განხილვისას სახალხო სასამართლეებისა და უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკაში დამკვიდრდა არასწორი ტენდენცია, მოქმედი კანონის მიუხედავად ოჯახის წევრთა ფართობზე უფლება განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ ჩაწერის მემთხვევაში. კანონის ასეთი თვითნებური განმარტება დაუშვებელია, ამიტომაც საბჭოთა კავშირის უმაღლესმა სასამართლომ ეს დარღვევები გამოასწორა და თავისი 1971 წლის 1 ივლისის დადგენილებით გააუქმა საქართველოს უმაღლესი სასამართლოს 1970 წლის 29 ივნისის დადგენილება ერთ-ერთ კონკრეტულ საქმეზე და აღნიშნა, რომ საცხოვრებელ სახლზე უფლება წარმოიქმნება არა ჩაწერით, არამედ იმ პირობათა არსებობის მიხედვით, რაც მითითებულია საბჭოთა კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების ხამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 56-ე მუხლში.

კანონი აღკვეთილი უნდა იყოს იმ ეკონომიური და კულტურული მოვლენებისა, რომლებსაც ადგილი აქვს საზოგადოებაში, უნდა უსასუხებდეს დროის მოთხოვნილებას. მხოლოდ მაშინ იქნება კანონი ქმედითი და რეალური. მაგალითად, ამჟამად, ჩვენს რესპუბლიკაში შედგენილია შრომის კანონის ახალი კოდექსის პროექტი, რომელსაც ბევრი რამ ახალი შეაქვს შრომის კანონმდებლობაში.

და, ბოლოს, აუცილებელია, შეჩერდეთ ერთ საკითხზე: უნდა აღინიშნოს, რომ სამართლებრივი კულტურის დონე არ არის ჯერ კიდევ საკმარისი სიმაღლეზე. ბევრი მოქალაქე ჯერ ეჩვევა კანონის ელემენტარულ მოთხოვნებში, როგორც ცნობილია, ჩვენს რესპუბლიკაში არც ისე იშვიათია ავტოავარიის შემთხვევები. ამ მხრივ საინტერესოა ის ცნობები, რომლებიც მოწოდებულია საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს მიერ. იქ ნათქვამია: ბევრ ქალაქსა თუ ოლქში ჩატარებულმა შემოწმებამ გამოავლინა, რომ მხოლოდ 50-მა პროცენტმა არ იცის ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი დებულებები, რომლებიც ჩამოთვლილია მართლსაწინააღმდეგო ქმედება და გათვალისწინებულია მის გამო პასუხისმგებლობა.

სამართლის ელემენტარულ საკითხებში ზოგჯერ მაღალკულტურული და განათლებული ადამიანებიც კი ვერ ერკვევიან. სწორედ ამ თვალსაზრისით მნიშვნელობა აქვს ყველა მოქალაქის სამართლებრივ აღზრდას და მისი სამართლებრივი კულტურის დონის ამაღლებას. მართალია, ჩვენში ამ ხაზით დიდ შრომას ეწევა პრესა, ტელევიზია, რადიო, ამასთან ყველა კულტურულმა ადამიანმა თვითონ უნდა შეიგნოს ცოდნა სამართლის დარგში.

ლ. ჯიმარჯიძე.

ეურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ბარიერები ფინიშთან

რედაქციას უპასუხებს საქართველოს კომპარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტი

გაზეთ „კომუნისტში" დაიბეჭდა წერილი „ბარიერები ფინიშთან", რომელიც შეეხებოდა ტყიბულის ქვანახშირის ახალი შახტის — „კომკავშირულის" გაჭიანურებულ შენებლობას.

საქართველოს კომპარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. გოცირიძემ რედაქციას აცნობა, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა.

„საქალაქო კომიტეტის ბიუროომ, — ნათქვამია პასუხში, — იმსჯელა „აღმოსავლეთ-2" კომკავშრომული შახტის შენებლობაზე არსებული ნაკლოვანებების შესახებ და დასახა ღონისძიებები მათი გამოსწორებისათვის, შედგენილია სამუშაოთა წარმოების ახალი გრაფიკი, მიღებულია ზომები მუშათა კვების მოწესრიგებისათვის.

შახტის შენებლობის გრაფიკის ჩაშლისათვის, აგრეთვე იმისათვის, რომ დროულად არ მომზადდა საბუფეტედ განკუთვნილი სათავსები და არ გადაეცა მუშათა მომარაგების განყოფილებას, „ტყიბულშახტმშენი" სამმართველოს უფროსს ი. ლომიას გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

სასტიკი საყვედური გამოეცხადა აგრეთვე შახტმონტაჟის ტყიბულის უბნის უფროსს ვ. ლეკიძეს — სამონტაჟო სამუშაოთა არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის.

ბიურომ მკაცრად გააფრთხილა, „ტყიბულშახტმშენის" სამმართველოს აღმშენკომის თავმჯდომარე გ. ნიშნიანიძე იმის გამო, რომ არადამაკმაყოფილებლად ზრუნავდა სამშენებლო ობიექტზე მუშათა კვების მოწესრიგებისათვის.

ბოროტი მჯღაბნელი

რედაქციას უპასუხებს საქართველოს კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტი

გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნდა საკუთარი კორესპონდენტის ნ. ნოდიას წერილი, სათაურით „ბოროტი მჯღაბნელი", რომელშიც გაკიცხული იყო საქმიანის ტრესტის ზუგდიდის ზონის ჩაის ფაბრიკის ყოფილი იურისკონსულტი პ. ჯინჯოლავა.

საქართველოს კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. ქორიამ რედაქციას აცნობა:

გაზეთ „კომუნისტის" 1972 წლის 21 მაისს გამოქვეყნებულ კორესპონდენციაზე გაცნობებთ, რომ მოქალაქე პ. ე. ჯინჯოლავა, პარტიული ცხოვრებისაგან მოწყვეტისათვის, ზემდგომ და ადგილობრივ ორგანოებში ცილისმწამებლური ხელმოწერილი და ანონიმური წერილების გაგზავნისათვის და ხკკპ რიგებში შესვლისას ადრე ხისლლის სამართლის პასუხისგებაში ორჯერ ყოფნის დამალვისათვის ზუგდიდის ჩაის საწნეხი ფაბრიკის პირველადი პარტიული ორგანიზაციის 1972 წლის 6 მაისის კრების დადგენილებით გაირიცხა ხკკპ რიგებიდან.

საქართველოს კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის ბიუროომ 1972 წლის 2 ივნისის დადგენილებით მბარი დაუჭირა პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრების გადაწყვეტილებას პ. ე. ჯინჯოლავას ხკკპ რიგებიდან გარიცხვის შესახებ.

პ. ე. ჯინჯოლავამ საჩივრით მიმართა ზემდგომ პარტიულ ორგანოებს, მაგრამ მას უარი ეთქვა ხკკპ რიგებში აღდგენაზე.

რაც შეეხება უსახელო წერილებს, ადრე საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს თბილისის სასამართლო ექსპერტიზის საკვლევი ლაბორატორიის 1971 წლის 12 ნოემბრისა და ამავე ლაბორატორიის 1972 წლის 10 მარტის დასკვნები ადასტურებენ, რომ განსახილველად შერჩეული უსახელო წერილები შესრულებული იყო პ. ე. ჯინჯოლავას მიერ.

ამჟამად ქალაქ ზუგდიდის პროკურატურაში წარმოდგენილია საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილების ექსპერტიზის 1972 წლის 10 ოქტომბრის დასკვნა, რომელიც ადასტურებს, რომ განსახილველად შერჩეული არც ერთი წერილი შესრულებული არ არის პ. ე. ჯინჯოლავას მიერ.

წერილი არ დაგეჭდილა, მაგრამ...

ლამნაშაქენი დაისჯნენ

რედაქციას უპასუხებს საქართველოს კპ ბორჯომის რაიკომი

ამას წინათ რედაქციამ მიიღო წერილი, რომელშიც მსჯელობული იყო ბორჯომის სატყეო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა უკანონო მოქმედება. წერილი სათანადო ზომების მისაღებად გადაეგზავნა პარტიის ბორჯომის რაიკომს.

საქართველოს კპ ბორჯომის რაიკომის პირველმა მდივანმა **ბ. კუხიანიძემ** რედაქციას აცნობა, რომ მამხილებელი ფაქტები შემოწმებით **დადასტურდა.**

ბორჯომის სატყეო მეურნეობის სახელმწ ქარხნის წარმოების უფროსმა **ხ. დარბაიძემ**, რომელსაც მიწის ნაკვეთი არ აწერია, სოფელ საკარიეში მამის საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე 1967 წელს დაიწყო ორსართულიანი სახლის მშენებლობა. საცხოვრებელი ფართობის გაფდიდების მიზნით დაუშვა პროექტიდან გადახვევა და ნაცვლად 77 კვადრატული მეტრი ფართობისა, ააშენა 104 კვადრატული მეტრი ფართობის სახლი. ამა აქვს ზოგიერთ სამშენებლო მასალების შეძენის დოკუმენტები.

დეპარის საბჭოთა მეურნეობის ფერმის პრიგადირმა, ბორჯომის სატყეო მეურნეობის საწყობის ყოფილმა გამგემ **გ. ა. ქოზაშვილმა** საკარმიდამო მიწის ნაკვეთში 1961-1964 წლებში, როცა ის ჭობისხევის კოლმეურნეობის ბრიგადირად და ფერმის გამგედ მუშაობდა, ააშენა 110 კვადრატული მეტრი ფართობის ორსართულიანი სახლი. გ. ა. ქოზაშვილმა ვერ წარმოადგინა დოკუმენტები ზოგიერთ სამშენებლო მასალების შეძენაზე. ასევე ს. ი. დარბაიძეს და გ. ა. ქოზაშვილს არ აქვთ სახლის მშენებლობისათვის ტრანსპორტის გამოყენებაზე თანხის გადახდის დოკუმენტები.

ადგილი ჰქონდა ბორჯომის სატყეო მეურნეობის მიერ ზამთრის პერიოდში მოჭრილი ხეების გაუქერქავად გამოზიდვისა და ქარხანაში დაბერების ზოგიერთ ფაქტს.

ეს საკითხი 26 იანვარს განიხილა პარტიის რაიკომის ბიუროომ. აღნიშნული დარღვევებისათვის **ხ. ი. დარბაიძე გაათავისუფლა თანამდებობიდან** და მასალები გადაუგზავნა საგამომძიებლო ორგანოებს, ხოლო **გ. ა. ქოზაშვილს გამოუცხადა სასტიკი საყვედური საარღცხვო ბარათში შეტანით.**

ჩვენი ახალი ფოსტიდან

სასურველი სტუმრები

ლუეთი. პოლტავის ოლქის კოტელვის რაიონის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობაა და არაგვისპირის საბჭოთა მეურნეობას შორის გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. ამის გამო ლუეთს ეწვია უკრაინელი მეგობრების დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ პარტიის პოლტავის საოლქო კომიტეტის განყოფილების გამგე კ. დოვბნია, პარტიის კოტელვის რაიკომის მეორე მდივანი ლ. მელნიკოვა, მირგოროდის დ. ბურამაშვილის სახელობის რვაწლიანი სკოლის დირექტორი კ. სახაროვი.

არაგვისპირის საბჭოთა მეურნეობის კლუბში გაიმართა მიტინგი, რომელზეც პარტიის კოტელვის რაიკომის მდივანმა ლ. მელნიკოვამ განაცხადა, რომ უდანოვის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელებმა გადაწყვიტეს დაამყარონ ძმური მეგობრობა არაგვისპირელებთან, რომელთა თანამემამულეა პოლტავშინის საპატიო მოქალაქე, საბჭოთა კავშირის გმირი ზ. ხიტალიშვილი.

ა. ჩოხელი.

სასიამოვნო გარათი

ცხაკაია. ლენინგრადიდან აქ მოვიდა წერილი, რომლის ავტორია ნ. ვოზნესენსკის სახელობის საფინანსო-ეკონომიური ინსტიტუტის მუშაკი ი. პონიატოვსკი. იგი წერს: როცა საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ლომგული კორძახია ცხაკაიადან ლენინგრადში მიემგზავრებოდა, ჯიბეში ხიმწიფის ატესტატთან ერთად კლასიკურ ჰიდაობაში მეორე თანრიგოსნის ნორმატიგის ჩაბარების დამადასტურებელი მოწმობაც ედო. პირველ წელიწადს ბროშმა. მეორე წელს ამ ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტი გახდა. დღისით მუშაობდა — იყო მტვირთავი, ზეინკალი, საღამოობით ლექციებზე დადიოდა, წიგნებსა და კონსპექტებს ჩაჰკირკიტებდა. შარშან ქართველი ჭაბუკი დღის განყოფილებაზე გადაიყვანეს.

ლ. კორძახია ახლა მეოთხე კურსის სტუდენტია. იგი სწავლისა და სპორტის შრომის წარჩინებულია.

ბ. ბულუა.

სოფელ ჭუბერიდან — ქ. ბოკრეოში

მესტია. ზემო სვანეთში კარგად ხარობს ხილი. მესტიის ტყეებიც სავსეა ხიჩატელით. მაგრამ რაიონს უჭირდა ხილის ტრანსპორტირება საარეგეფო ქალაქებში. საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა მესტიის სატყეო მეურნეობის ხაიშის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობასთან სოფელ ჭუბერში გახსნა ხილისა და კენკროვანი წვენების გადამამუშავებელი ქარხანა.

ქარხანამ (დირექტორი შ. შანავა) ჭუბერიდან, ხაიშიდან, იღლიანიდან, ნაკრიდან და სხვა სოფლებიდან მიღებული ხილი შეუფერხებლივ გადაამუშავა. გეგმით გათვალისწინებული 200 ტონის ნაცვლად დამზადდა 236 ტონა ვაშლის, ტყემლის, ქლიავისა და წყავის წვენები, რაც გაიგზავნა მოსკოვის ოლქის ქ. ბოკროვში.

ბ. ჭოტიკაშვილი.

ხმად მღაღადებლისა...

ეუბრუნდებით დაბეჭდილს

რედაქციაში წერილი მოვიდა. ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ჭოლის საშუალო სკოლის დირექტორი კ. ჭეჟია გვწერდა:

„გაზეთ „კომუნისტის" გასული წლის 20 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა წერილი სკოლის ახალი სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ, რომელშიც გაკრიტიკებული იყო მშენებლობის სამინისტროს მე-11 ტრესტის ცხაკაიის № 4 სამშენებლო უბანი ჭოლის საშუალო სკოლის მშენებლობის მიტოვებისათვის. წერილში აღნიშნული იყო, რომ დამთავრებული არ არის სასპორტო დარბაზის და ცენტრალური გათბობის შენობების გადასურვა, რის გამო ორიოდეს წვიმა ჩამოდის; შენობის ირგვლივ ასფალტი უნდა დაგებულიყო, რაც არ გაკეთებულა; კარ-ფანჯრები კარგად არ იკეტება, გარდა ამისა, ჩასმული შუშების დიდი ნაწილი დამტვრეულია, სახელურები მოშლილია.

რედის მასალის დაბეჭდვის რამდენიმე დღის შემდეგ ადგილზე ჩამოვიდნენ ცხაკაიის № 4 სამშენებლო უბნის მუშაკები. სამუშაოთა მწარმოებელ-ო. კვირკველიას დაავალეს დარჩენილი სამუშაოები 5 სექტემბრამდე დამთავრებინა. მანაც აღუოქვა, მაგრამ პირობა პირობად დარჩა. საქმის გამკეთებელი კი ამ დღის შემდეგ არავინ არ გვინახავს".

ახალგაზრდობის აღზრდაზ შეგერებული მშრომელი კაცის წერილმა სოფელ ჭოლში ჩაგვიყვანა. ხელახლა ვათვალიერებთ სკოლას, სადაც მომდინარე წლის აგვისტოში ვიყავით. ყველაფერი ისევ ისეა, როგორც ჩვენი რედის იმ დღეებში იყო ხაზგასმული. სკოლა კარგად **არ** თბება — თითო რადიატორი თითო ოთახისათვის საკმარისი არ არის, რასაც სკოლის დირექტორი აღნიშნავს თავის წერილში, ყველაფერი სწორია. მას გული შესტკივა ამ დიდ საქმეზე, დამხმარე კი არავინ არის, ვისაც ევალება — განზე დგას. „სიახლე" ის არის, რომ საშუალოთა მწარმოებელს ოქტომბერში 20 ცალი ტოლი მოუტანია და დაუყრია სკოლის გვერდზე, ნოემბრის დამლევს კი ერთი მანქანა გუდრონის ნაკრები. ეს არის და ეს.

... ჭოლელი მოსწავლეები და მასწავლებლები რა თქმა უნდა, ამ ზამთარს ისე ატარებენ. დასაგმობია მშენებლობა ასეთი გულცივობა დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის ობიექტისადმი. წლევანდელი შემოდგომა ხელსაყრელი იყო მშენებლობისათვის. დეკემბრის პირველ ნახევრამდეც ბევრ ჩინებული ამინდები იდგა. მშენებლებს პასუხისმგებლობა რომ ეგრძნოთ და მონდომება გამოეჩინათ, სკოლაში სწავლის ნორმალური პირობები იქნებოდა.

გაზეთის კრიტიკული შენიშვნისადმი მშენებლების უპასუხისმგებლო დამოკიდებულება იმაზე მეტყველებს, რომ ისინი ანგარიშს არ უწევენ საზოგადოებრივ აზრს. ამის უფლება კი არავის არა აქვს.

საჭიროა ბოლოს და ბოლოს გამოსწორდეს ყველა ის ნაკლოვანებანი, რომლებიც ჭოლის საშუალო სკოლის მშენებლობაშია დაშვებული.

ბ. მილიუტინი.

„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

დირექტორი — ფიგნის ავტორი

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ასლანან გამომცემლობა „განათლებამ" გამოუშვა წიგნი — „ზუგდიდის მესამე საშუალო სკოლა (1919-1969 წწ)". მისი ავტორია ქალაქ ზუგდიდის მეოერეს საშუალო სკოლის დირექტორი მ. აბსანძე, რომელიც 11 წლის განმავლობაში დირექტორობდა მესამე საშუალო სკოლას.

წიგნი სკოლებსა და პედაგოგიურ კოლექტივებს დაეხმარება სწავლა-აღზრდის საქმის უკეთ დაყენებაში.

„კომუნისტი"
ფშ-ე ჯვარი, საშაბათი,
6 თებერვალი, 1973 წ.

ჯილდოები

კონკურსში გამარჯვებულებს

ხელის შრომის მექანიზაციისათვის

ა. ბოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა)



სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა შეაჯამა იმ წინადადებათა სეზონური შემოსავლებისათვის კონკურსის შედეგები, რომლებიც ხელს უწყობენ მძიმე ხელის შრომის შემცირებას სამრეწველო საწარმოებში, ტრანსპორტზე და მშენებლობებზე. საწარმო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებათა დანერგვის შედეგად, კონკურსი გამოცხადდა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად.

ოთხერამ პირველი პრემია მიანიჭა თბილისის ქარხანა „ელექტროიზოლიტის" კოლექტივს. „ქვაინერგა" მექანიზებული ხაზი მოქნილი საიზოლაციო მასალის — მიკანიტის დასამზადებლად. ამან მძიმე ხელის შრომისაგან გათავისუფლა 29 მუშა. დანადგარის დანერგვის შედეგად მიღებული ეკონომიური ეფექტი წელიწადში 949.940 მანეთს შეადგენს. მეორე პრემიები მიენიჭათ საკავშირო პროფსაბჭოს შრომის დაცვის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სპეციალისტებს, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ნოვატორებს, აგრეთვე თბილისის ა. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივს.

მეცნიერებმა წამოაყენეს მეტალურგიულ წარმოებათა მილსაგლინავი დგანის შეზეთვის ორიგინალური ტიპი. მიღების გლინვის პროცესში ხახუნის შესამცირებლად ჩარჩოზე იყენებენ სოფრის მარილს. წინათ მას ნიჩბებით ყრიდნენ. ახლა მოხერხდა შეზეთვის პროცესის ავტომატიზაცია. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა გალინული მილების ხარისხი, ბევრად შემცირდა მოწყობილობის ცვეთა. სიახლე ინერგება რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. თავის მხრივ რუსთაველმა მეტალურგებმა დანერგეს ულტრაბგერითი დანადგარი „ლისტოხოლოდ-1". მან ბევრად გაუადვილა კონტროლი, და მაშასადამე საგლინავი ლითონის ხარისხი.

ელექტროვაგონშემკეთებლებ მ ა დანერგეს 100-ზე მეტი რაციონალიზატორული წინადადება, რომლებიც წელიწადში 65 ათას მანეთზე მეტს უზოგავენ საწარმოს.

მესამე პრემია მიენიჭა ავტალის ჭ. ი. ლენინის სახელობის შუშის ქარხანას. აქ ამუშავდა მექანიზებული ხაზი მინის ლეწის გადასადნობად მომზადებისათვის. ამით ხელის შრომა 90 პროცენტით შემცირდა.

წასახალისებელი პრემია მიენიჭათ თბილისის საწარმოო გაერთიანების „ელექტროაპარატის", ბათუმის საზღვაო ნავსადგურის, მახარაძის ბრეშუმის სხვადასხვა ფაბრიკის, ზესტაფონის ფეროშენაღნობთა ქარხნის, ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების სათავო საწარმოს, ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო, ლითოფონისა და მინის ტარის ქარხნების კოლექტივებს.

(საქინფორმი).

კ ა ნ ო ნ ი დ ა ს ა მ ა რ თ ლ ებ რ ი ვ ი კ უ ლ ტ უ რ ა

ი უ რ ი დ ი უ ლ ი ც ო დ ნ ა — მ ა ს ს ებ ს!

ბოლო წლებში ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ უაღრესად მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელეს საბჭოთა კანონმდებლობის სრულყოფისათვის და მისი კოდიფიკაციისათვის. კანონიერების განმტკიცება ჩვენს ქვეყანაში თვითმიზანი არ არის, საბჭოთა კანონმდებლობა მოწოდებულია" აქტიურად გადაწყვიტოს კომუნიზმის მშენებლობის ამოცანები.

კანონების შედგენა, მათი ცხოვრებაში გატარება და დაცვა სახელმწიფო მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი, ამასთან მეტად რთული სფეროა. სამართალი აწესრიგებს ადამიანთა ურთიერთობას. მას საქმე აქვს ადამიანის ქცევასთან, მის ფსიქოლოგიასთან, ადამიანის სხვადასხვა ხასიათთან. ეს ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს ზედმიწევნით გარკვეულად და ნათლად. სამართლებრივი ნორმები ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ შეიცავდეს ყველა აუცილებელ ნიშანს. ამასთან უნდა იყოს მკაფიოდ შემოსაზღვრული. კანონის ნორმა უნდა გამორიცხავდეს ორაზროვნებას მისი ახსნა-განმარტების დროს.

ამის გამო, რომ სამართლებრივი კონსტრუქციები და განსაზღვრებანი სწორად რთული და ვრცელია, ადვილად მისაწვდომი არ არის სპეციალური ცოდნისა და გამოცდილების უქონლად. დარწმუნებული ვარ — კითხვაზე, თუ რა არის დანაშაული, ბევრი მხრეს აიჩეჩავს და უპასუხებს: დანაშაული არის დანაშაული!.. როგორღა უპასუხებს ამ კითხვას კანონი? დანაშაულად ჩაითვლება სისხლის სამართლის, „კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც ხელყოფს საბჭოთა საზოგადოებრივ ან სახელმწიფო წესწყობილებას, მეურნეობის სოციალისტურ სისტემას, სოციალისტურ საკუთრებას, პიროვნებას, მოქალაქეთა პოლიტიკურ, შრომითს, ქონებრივ და სხვა უფლებებს, აგრეთვე სოციალისტური მართლწესრიგის ხელმყოფი სხვა საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონით". ამგვარი განსაზღვრიდან ვხედავთ, რომ ქმედობა შეიძლება მიჩნეულ იქნას დანაშაულად, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა ჩამოთვლილ ნიშანს შეიცავს.

ადამიანს, რომელიც ვერ ერკვევა იურისპრუდენციის საკითხებში, ჰგონია, რომ კანონის შედგენის დროს მისი ასეთი დეტალიზაცია, დაწვრილ

ალიდადი

ბიბლიოთეკა

ბონი

საქმიანი კონტაქტები

5 თებერვალი. საკლესიის კორესპონდენტი ვ. ივანოვი იუწყება: 1972 წელი, პირველი წელი 1971 წლის აგვისტოში მოსკოვში საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, იყო სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობის უმაგალითოდ გაფართოების პერიოდი.

ასეთი დასკვნა გამოაქვთ ამ დღეებში ფედერაციული რესპუბლიკის საქმიან წრეებსა და პრესას. „საბჭოთა კავშირთან ვაჭრობისადმი ინტერესი იზრდება", — ხაზს უსვამს გაზეთი „უნზერეიატი". „საბჭოთა კავშირთან საქონელგაცვლის რეკორდული გაფართოება 1972 წელს", — აღნიშნავს სათაურში დასავლეთ გერმანიის მეწარმეთა გაზეთი „ჰანდელსბლატ -ინდუსტრიკურირი", „დიდი შეკვეთები მოსკოვიდან ფედერაციული რესპუბლიკის ფირმებისათვის", — ნათქვამია „რაინიშე პოსტის" სათაურში.

საქონელგაცვლის მოცულობა ორ ქვეყანას შორის შარშან 1971 წელთან შედარებით 20 პროცენტზე მეტით გაიზარდა და შეადგინა დაახლოებით 3,2 მილიარდი მარკა. ფედერაციული რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის უდიდესი სავაჭრო პარტნიორი ხდება ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის. ეს მონაცემები საკლესის კორესპონდენტს აცნობეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობაში. საქმიან კონტაქტებს გასაკუთრებით მნიშვნელოვანი გაჩენება მიეცა მას შემდეგ, რაც 1972 წლის იელისში ბონში სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობებს ხელი მოაწერეს გრძელვადიან შეთანხმებას სავაჭრო და ეკონომიური თანამშრომლობის შესახებ.

ამჟამად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში თითქმის არ არის ისეთი დიდი ფირმა, რომელიც ამა თუ იმ ფორმით არ იღებდეს მონაწილეობას საბჭოთა კავშირთან საქმიან ურთიერთობაში. 400 მილიონ მარკაზე მეტს „შეადგენს იმ შეკვეთის თანხა, რომელიც გასული წლის დამლევს საბჭოთა კავშირიდან მიიღო ორმა ფირმამ: გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობაში არის ფრაული ალბომი. მასში შეტანილია იმ ფირმების მისამართები, ტელეფონები, საწარმოო საქმიანობის დახასიათებანი, რომლებიც საბჭოთა სავაჭრო ორგანიზაციების მუდმივი პარტნიორები გახდნენ. ამ ფირმების მიწოდებებმა საბჭოთა ქმიური მრეწველობისათვის 1972 წელს შეადგინა 182 მილიონი მარკა, საავტომობილო მრეწველობისათვის — 238 მილიონი და ავეჯის მრეწველობისათვის — 223 მილიონი მარკა. საბჭოთა კავშირიდან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საასუხო მიწოდებების სახით შემოდის ძირითადად მატანი, ნავთობი, ხე-ტყე და სხვა სამრეწველო ნედლეული.

„ომისშემდგომ **პერიოდში** ჩვენში ჯერ არასოდეს **არ** ყოფილა პირველი პლანზე დაყენებული ფედერაციულ რესპუბლიკასა და სსრ კავშირს შორის ეკონომიური ურთიერთობის განვითარების შესაძლებლობათა საკითხი", — წერს გაზეთი „ჰანდელს-ბლატ-ინდუსტრიკურირში" გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო-სამრეწველო პალატის თამჯდომარე ფონ ამერონგენი.

ᲙᲐᲜᲜᲝ

სამხედრო კომისიის პირველი სხდომა

5 თებერვალი. (საკლესი). ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შეთანხმება, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა აქვს, უსუსტად უნდა შესრულდეს, რათა უზრუნველყოს მტკიცე მშვიდობა ვიეტნამში და ხელი შეუწყოს სანგრძლივი მშვიდობის შენარჩუნებას ინდოჩინეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, განაცხადა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო დელეგაციის მეთაურმა ლე კუანგ ჰოამ გაერთიანებული ოთხმხრივი სამხედრო კომისიის პირველ სხდომაზე საგონში.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა აღნიშნა, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ღონისძიებებმა მეტად დიდნიშვნელოვანი როლი შეასრულეს და ხელი შეუწყეს პარიზის საგიუტნამო თათბირის დამაკმაყოფილებლად დამთავრებას, და განაცხადა, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა პატივს სცემს ამ შეთანხმებას და ყოველ ღონეს იხმარს მისი ზუსტი განხორციელებისათვის. მან ყველა სხვა მხარეს მოუწოდა აგრეთვე გამოიჩინონ კეთილი ნება, რათა ხელშემწყობი პირობები შეუქმნან შეთანხმების წარმატებით შესრულებას.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის, აღნიშნა მან, მზად არის მჭიდროდ ითანამშრომლოს ყველა დინტერესებულ მხარეთან, აგრეთვე საერთაშორისო საკონტროლო და სამეთვალყურეო კომისიის წევრებთან.

5 თებერვალი. (საკლესი). საიგონში გამართულ გაერთიანებული ოთხმხრივი სამხედრო კომისიის სამხედრო დელეგაციათა მეთაურების პირველ სხდომაზე სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის სამხედრო დელეგაციის მეთაურმა ენენ ტუნენტანტმა ჩინ ვინ ჩამ გამოთქვა სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის მტკიცე გადაწყვეტილება, რომ პატივს სცემს და უსუსტად დაიცავს პარიზში ხელმოწერილ შეთანხმებას ომის შეწყვეტის შესახებ და რომ დროებითი რევოლუციური მთავრობა მზად არის მჭიდროდ ითანამშრომლოს სხვა მხარეებთან ამ შეთანხმების განსახორციელებლად.

ᲝᲢᲙᲐᲕᲙ

დამნაშავენი უნდა დაისაჯონ

5 თებერვალი. (საკლესი). მოსკოველში მუშაობა დამთავრა საერთაშორისო ოლიმპიადის საერთაშორისო ორგანიზაციის იურიდიულმა კომიტეტმა სესიამ. მან მიიღო მთელი რიგი რეკომენდაციები, რომელთა მიზანია ბრძოლის გაძლიერება თვითმფრინავთა გატაცებისა და სხვა დანაშაულებრივი მოქმედების წინააღმდეგ, რომლებიც არღვევენ ხელშეთანხმებულ საერთაშორისო საავიაციო ხაზების ნორმალურ საქმიანობას.

მოწონებულ რეზოლუციაში კომიტეტმა წინადადება მისცა საოლიმპიადო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საბჭოს მოიწვიოს მომდინარე წლის აგვისტოში ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა და სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი 125 ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენელთა კონფერენცია რეკომენდებული კონკრეტული ღონისძიებების განსახილველად და მისაღებად, რომლებიც ეხება თვითმფრინავების გამტაცებელ პირთა დასჯას და იმ სახელმწიფოთა ვალდებულებებს, რომელთა ტერიტორიებზე ჯდებიან გატაცებული თვითმფრინავები.

რეკომენდებულ ღონისძიებათა შორის არის საბჭოთა წინადადება, რომლის თანახმად მთავარი ღონისძიება უნდა იქნას მიმართული ბოროტების პირველი წყაროს — თვითმფრინავების გამტაცებელ დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. საბჭოთა დელეგაციამ შეიტანა წინადადება, რომ სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრმა ყველა ქვეყანამ აკისროს ვალდებულება — გადასცეს დამნაშავეები სახელმწიფოს, რომელსაც გატაცებული თვითმფრინავი ეკუთვნის.

ᲜᲐᲒᲠᲔᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲥᲕᲔ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲙᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲖᲐᲚᲘᲡᲒᲐᲜᲘ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲤᲠᲗᲮᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲤᲠᲘᲜᲒᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲐᲠᲐᲑᲘᲡ ᲔᲛᲘᲠᲝᲗᲐ ᲐᲠᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲒᲐᲜᲗᲐᲜ.

ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ

□ **ᲔᲒᲕᲘᲞᲔᲗᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ** და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში განახლდა მეცადინეობა ზამთრის არდადეგების შემდეგ, რომელთა ვადა ერთ კვირაზე მეტ ხანს გაგრძელდა იმასწინანდელი სტუდენტთა მღელვარების გამო.

□ **ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲨᲘᲜ** სამხრეთ კორეაში დაბრუნდა სეულის ჯარების „ვეფხვის" დივიზიის ბატალიონი. ეს დივიზია 1965 წლის ოქტომბერში გაგზავნეს სამხრეთ ვიეტნამში ამერიკის ომში მონაწილეობისათვის. ეს სეულის 38-ათასიანი სამხედრო კონტინგენტის უკვე მეორე ქვეგანაყოფია, რომელიც სამხრეთ ვიეტნამიდან გამოიყვანეს.

□ **ᲨᲕᲔᲪᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲨᲐᲒᲘᲡ** ვიცე-პრეზიდენტი სპირო აგნიუ, რომელიც ბანგკოკში ვიზიტად იყო, ტაილანდს დაპირდა, რომ შეერთებული შტატები კვლავ გაუწევს სამხედრო და ეკონომიურ დახმარებას. პრემიერ-მინისტრ ტანომ კიტიკაჩორნთან შეხვედრის დროს ხ. აგნიუმ თქვა, რომ ამერიკა მზად არის ახალ სახეობათა იარაღი მიაწოდოს ტაილანდის არმიას.

□ **ᲠᲝᲖᲔᲠᲓᲐᲛ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ** დახმარებას გაუწევს პაიფონს ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციის მიერ დანგრეული სანავსადგურო ნაგებობათა აღდგენაში. პოლანდიის ამ ქალაქის ბურგომისტრმა პაიფონის ქალაქის ხელისუფლებს გაუგზავნა წერილი, რომელიც მისცა წინადადება, გასწაზღვრონ საჭირო დახმარების ხასიათი და მოცულობა.

□ **ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲐ** განაგრძობს ლაოსის მახსრებულ დაბომბვას. ამას იუწყება ამერიკის შეერთებული შტატების წყნარ ოკეანის სამხედრო სარდლობა ჰონოლულუში (ჰაუაი).

□ **15 ᲐᲗᲐᲡᲐᲛᲓᲔ ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲨᲐ** დიასახლისმა მოაწერა ხელი საპორტესტო განცხადებას იმის წინააღმდეგ, რომ კვლავ გაძვირდა (20-30 პროცენტი) სურსათი, რაც გამოიწვია დანის შესვლამ „საერთო ბაზარში".

□ **ᲣᲛᲝᲕᲔᲚᲧᲚᲘᲣᲠᲐᲓ 300 ᲐᲗᲐᲡᲘ** ირანელი ავსტრიელ უმუშევართა რიცხვს ქვეყანაში. ამ პრობლემის გადასაჭრელად, ბაზს უსვამს გაზეთი, „თეჰრან ჯორნელი", ირანის მთავრობამ ხუთწლედისათვის დაგეგმა შექმნას 1 მილიონ 800 ათასი ახალი სამუშაო ადგილი.

ᲕᲐᲭᲠᲔᲑᲘ

ᲤᲘᲚᲘᲞᲘᲜᲔᲗᲘ

ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ

5 თებერვალი. (საკლესი). სამხრეთ კორეის უმაღლეს ფენებში კორუფცია და მექთამეობა ჩვეულებრივი მოვლენა გახდა.

პრესა იუწყება მრავალ ფინანსურ მაქინაციაზე არმიისა და მმართველ ზედა ფენაში. ახლა განსაკუთრებულ სკამზე სამხრეთ კორეის ახალი დემოკრატიული პარტიის წევრები ლი ჩუნ ნამი და კიმ ჰან სუ.

სეულის სისხლის სამართლის სასამართლომ მათ ბრალად დასდო კორუფციისა და მექრთამეობის სპეციალური კანონის დარღვევა, რომელიც თვითონვე მიიღეს ეროვნულ კრებაში.

როგორც სეულის გარჩევის დროს გამორკვა, ბრალდებულნი ეწეოდნენ სისტემატურ გამომძალველობასა და ბიზნესმენებისა და ბანკის მოსამსახურეთა მოსყიდვას.

ᲤᲘᲚᲘᲞᲘᲜᲔᲗᲘ

ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲐ

5 თებერვალი. (საკლესი). ფილიპინეთში ბოლო ორი თვის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ორ ავიაკატასტროფას, ორივე ერთ-ერთ ადგილობრივ ავიაკომპანიაზე, ამბობენ ფილიპინელ ექსპერტებთან ერთად ამ ფაქტებზე ინფორმაციის ადგილობრივ ინსტიტუტში.

ᲕᲐᲭᲠᲔᲑᲘ

ᲣᲬᲧᲚᲝ ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲘ

5 თებერვალი. (საკლესი). თურქეთის დედაქალაქში, რომელშიც თითქმის 1,5 მილიონი მოსახლეობაა, უწყლო ზამთარს განიცდის.

როგორც ადგილობრივი პრესა იუწყება, ქალაქის ყოველდღიური მოთხოვნილება წყალზე, რაც 300 ათას კუბურ მეტრს შეადგენს, კმაყოფილდება მხოლოდ 45-პროცენტით. წყლის უმარობის გამო ზოგიერთ სახლში არ მუშაობს გასათბობი სისტემა.

ანკარის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის უფროსმა სერიოზული შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ ასე არიდამაკმაყოფილებლად მარაგდება წყლით ქალაქი. „თუ, — თქვა მან, — ანკარაში ერთიდროულად ორი ხანძარი მოხდა, ერთ-ერთი მათგანის ჩასაქრობად ვერაფერს ვიღონებთ და მხოლოდ ალაპის იმედი უნდა ვიქონიოთო".

ქალაქის ზოგიერთ რაიონში უწყლობა იწვევს საკანალიზაციო მილების გაჭუჭყიანებასა და გახეთქვას. კომპეტენტური პირები შეშფოთებას გამოთქვამენ, რომ უწყლობას მოჰყვება ინფექციური დაავადებანი.

ᲑᲝᲜᲘ

ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ

5 თებერვალი. (საკლესი). რეგენსბურგში დაიწყო ნაცისტი დამნაშავის ფორბერგის სასამართლო პროცესი. მას ბრალად სდებენ, რომ მონაწილეობდა 1.500 საბჭოთა მოქალაქის დახოცვაში. სხვა ჰიტლერელ ჯალათებთან ერთად ფორბერგი მონაწილეობდა აგრეთვე მასობრივ დახვრეტაში, რომელიც ჰიტლერელებმა კიევში მოაწყვეს 1941 წელს.

ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ

□ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲨᲘ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐᲐ! □ ᲩᲘᲚᲔ: ᲛᲝᲒᲖᲕᲔᲚᲘᲡ ᲫᲐᲚᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲐ □ ᲒᲐᲜᲬᲘᲠᲣᲚᲗᲐ ᲨᲔᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲙᲚᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

უკვე ერთი კვირაა ვიეტნამის თავზე ცა მოიღრუბლა, მის ქალაქებსა და სოფლებში აღარ ფეთქდება ბომბები და მრავალტანჯული ვიეტნამის მიწა-წყალზე დაიწყო მშვიდობიანი ცხოვრება. ვიეტნამელი ხალხი შეუდგა იმ ღრმა ჭრილობების მოშუშებას, რომლებიც ქვეყანას მიაყენა ამერიკის. მრავალი წლის აგრესიამ.

მსოფლიო საზოგადოებრიობა დიდი კმაყოფილებით შეხვდა ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შეთანხმების დადებას. ყველა კეთილი ნების ადამიანს მიაჩნია, რომ ეს მოვლენა არა მარტო გმირი ვიეტნამელი ხალხის დიდი გამარჯვება, არამედ აგრეთვე მისი სამართლიანი საქმის მხარდამჭერი მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების გამარჯვება, დიდნიშვნელოვანი ისტორიული ნიშანსვეტია თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ხალხთა ბრძოლის გზაზე.

შეთანხმების დადებამ, აღნიშნავს გაზეთი „რუდე პრავო", დამაჯერებლად დაამტკიცა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტურ ქვეყნების ერთიან კოორდინირებულ მოქმედებას იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, კვლავ ცხადყო პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალების სოლიდარობის მნიშვნელობა.

„ვიეტნამის გამარჯვება, — ხაზგასმით აღნიშნა ᲗᲘ იანვარს წარმოთქმულ სიტყვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ცხადყოფს სოციალიზმის უდიდეს ცხოველმყოფელ ძალას". ამავე დროს, აღნიშნა მან, ეს გამარჯვება „ცხადყოფს, თუ რამდენად შემცირდა ჩვენს დღეებში იმპერიალიზმის შესაძლებლობანი. ახლა აღარ არსებობს ისეთი საშუალებანი, რომელთა მეოხებით იგი შეძლებდა ისტორიის უკან შემობრუნებას!". მართლაც, შეთანხმების დადება მოწმობს, რომ იმპერიალიზმს აღარ შეუძლია ისე, როგორც წინათ, თავს მოახვიოს ხალხებს თავისი ნება, განაგოს მათი ბედი. ახლა მსოფლიო მეგალენების განვითარებას იმპერიალიზმისა და აგრესიის ძალები კი არა, არამედ მშვიდობისა და პროგრესის ძალები განსაზღვრავენ, რომელთა ავანგარდში არიან სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები.

ვიეტნამის ომის შეწყვეტა, ამ ვეღლაზე საშიში სამხედრო კერის ლიკვიდაცია, როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსი, სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული სამშვიდობო პროგრამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტია. ახლა, როცა ეს კერა ისპობა, ისახება ჩვენს პლანეტაზე დაძაბულობის შემდგომი შენელებისა და სხვა „ცხელი წერტილების" ლიკვიდაციის, ფართო საერთაშორისო თანამშრომლობის დამყარების ახალი შესაძლებლობანი. მას შემდეგ, რაც ბოლო წლებში არსებითად გაუმჯობესდა პოლიტიკური კლიმატი ევროპაში, ახლა იქმნება ხელშემწყობი წანამძღვრები მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის მსოფლიოს ისეთ დიდ რაიონებში, როგორიც არის აზია.

რა თქმა უნდა, ინდოჩინეთის მდგომარეობა საშიში რჩება. ომი, ეს ბოროტება, ისევ ფეთქავს ამ ადგილებში, ადამიანთა სისხლი ისევ ნაკადულივით ადენს ამ ადგილებს. ეს ომი ეროვნული ტრაგედიაა ამ ქვეყნებისა, ეროვნული ტრაგედია ამ ხალხებისა, ეროვნული ტრაგედია ამერიკისა. ამ ომმა ბევრი ადამიანი ინვალიდად აქცია, ბევრ ოჯახში ატირებულ ქვრივ-ობოლი ჩააგდო. ეს ომი ეროვნული ტრაგედიაა ამ ქვეყნებისა, ეროვნული ტრაგედია ამ ხალხებისა, ეროვნული ტრაგედია ამერიკისა. ამ ომმა ბევრი ადამიანი ინვალიდად აქცია, ბევრ ოჯახში ატირებულ ქვრივ-ობოლი ჩააგდო. ეს ომი ეროვნული ტრაგედიაა ამ ქვეყნებისა, ეროვნული ტრაგედია ამ ხალხებისა, ეროვნული ტრაგედია ამერიკისა.

**ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲐᲠᲐᲑᲘᲡ ᲔᲛᲘᲠᲝᲗᲐ ᲐᲠᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲤᲠᲘᲜᲒᲘᲡ

საქართველოს ჟთა-ბაჩრეი

კარდიოლოგთა რესპუბლიკური ფორუმზე

მუშაობა დაამთავრა საქართველოს კარდიოლოგთა საზოგადოების პირველმა სამეცნიერო კონფერენციამ, რომელზეც წარმოდგენილი იყო ოთხმოცამდე მოხსენება. ორი დღის განმავლობაში განიხილებოდა გულისსისხლძარღვთა პათოლოგიის ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიც არის — არტერიული ჰიპერტონია, გულის კუნთის პათოლოგია და გულსისხლძარღვთა ქირურგია. იმსჯელეს ამ დაავადებათა კლინიკის, დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის შესახებ.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა ინსტიტუტმა, კლინიკამ და სხვა სამედიცინო დაწესებულებებმა, რომლებიც ხსენებულ პრობლემებზე მუშაობენ.

კონფერენცია გახსნა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა, პროფესორმა ვ. ბოჭორიშვილმა. საქართველოს კარდიოლოგთა საზოგადოების მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა საზოგადოების თავმჯდომარე, პროფესორი ი. ჯავახიშვილი. მოხსენებაში აღნიშნული იყო ის დიდი მუშაობა, რომელიც ამ საზოგადოებამ შეასრულა 10 წლის განმავლობაში.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიისა და ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის ინსტიტუტებმა, რომლებიც შეადგენენ კარდიოლოგიური საზოგადოების ძირითად ბირთვს, მოაწყეს მრავალი გამსვლელი სამეცნიერო სესია საქართველოს სხვადასხვა რაიონში, ამ სესიებზე ინსტიტუტების წამყვანი მეცნიერები გამოდიოდნენ მოხსენებებით როგორც თეორიულ, ისე, განსაკუთრებით, პრაქტიკული მედიცინის საკითხებზე და უზიარებდნენ ადგილობრივ ექიმებს თავიანთ გამოცდილებას.

კარდიოლოგთა რესპუბლიკურ კონფერენციაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ჩვენი რესპუბლიკის წამყვანმა მეცნიერებმა — პროფესორებმა ვ. ქავთარაძემ, ნ. ყიფშიძემ, ვ. ფიფიამ, ვ. ფუფინმა, გ. მათეშვილმა, ვ. ალადაშვილმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორებმა ი. დარასელიამ, ნ. ქუთათელაძემ, ვ. ლიფანიშვილმა და სხვებმა. აგრეთვე ახალგაზრდა მეცნიერებმა რ. ყურაშვილმა, ნ. ეფუზიარმა, გ. მათეშვილმა, ს. მდივანმა და მრავალმა სხვამ.

წარმოდგენილმა მოხსენებებმა დიდი ინტერესი გამოიწვია და მათ ირგვლივ ფართო დისკუსია გაიმართა. კონფერენციაში, რომელსაც 300-მდე დელეგატი და სტუმარი ესწრებოდა, აქტიური მონაწილეობა მიიღეს სოხუმის, ქუთაისის, ბათუმის, აგრეთვე გურჯაანის, ახმეტის, ჩხოროწყუს და სხვა რაიონების ექიმებმა.

კონფერენციამ სამეცნიერო ნაწილის დამთავრების შემდეგ განიხილა საორგანიზაციო საკითხები. არჩეულ იქნა კარდიოლოგთა რესპუბლიკური საზოგადოების ახალი გამგეობა 35 კაცის შემადგენლობით. მის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა პროფესორი ვ. ქავთარაძე, ხოლო ამ საზოგადოების საპატიო თავმჯდომარედ — პროფესორი ი. ჯავახიშვილი. ქ. თბილისის კარდიოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის თავმჯომარედ კვლავ პროფესორი გ. მათეშვილი იქნა არჩეული.

ი. ჯანიშვილი.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

ორთოდონტული კაბინეტი

თელავი. (*საკ. კორ.*). მრავალი კარგი ღონისძიება ხორციელდება რაიონის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გეთმჯობესებისათვის. ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ქსელს კიდევ ერთი სიახლე შეემატა — სტომატოლოგიურ პოლიკლინიკასთან გაიხსნა ორთოდონტული კაბინეტი, სადაც ექიმი-სპეციალისტი მკურნალობს ანომალური კბილების მქონე 6-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებსა და მოზარდებს.

სამოცდამეცამეტე ქვეყანაში

საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის წარმატება

ამას წინათ საზღვარგარეთ სანგასტროლო მოგზაურობიდან დაბრუნდა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლი, რომელსაც ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის სახალხო არტისტები, სახელმწიფო პრემიის ლაურეატები ნ. რამიშვილი და ი. სუხიშვილი. ლიბანი 78-ე ქვეყანაა, სადაც ამ სახელმოხვეჭილმა ქოლექტივმა თავისი ხელოვნება წარმოადგინა. ბეირუთში გამართულ კონცერტებს დიდი წარმატება ხვდათ. ქართველ მოცეკვავეთა კონცერტები, რომლებიც იუნესკოს ერთ-ერთ უდიდეს დარბაზში გაიმართა, დაეშთნა საბჭოთა სამრეწველო გამოფენის გახსნას ლიბანის დედაქალაქში. მსოფლიოს ბევრი ქვეყნიდან ჩამოსული მრავალი დამთვალიერებელი ამ გამოფენაზე ეცნობოდა საბჭოეთის კულტურას და ამავე დროს ეხსნებოდა ანსამბლის კონცერტებს.

მაყურებელთა ხურვილისამებრ იმპრესარიომ გაგრძელა ქართველ მსახიობთა გასტროლები. ოვაციას საზღვარი არ ჰქონდა. პრესა აღნიშნავდა ანსამბლის უბადლო თავისებურებასა და მაღალ ტექნიკურ ხელოვნებას. კონცერტებს დაესწრნენ ქვეყნის ხელმძღვანელები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, სსრ კავშირის ელჩი ლიბანში ს. აზიმოვი.

ამ დღეებში თბილისში მოვიდა დეპეშა: „ლიბან-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ასოციაცია დიდ მადლობას გიძღვნით საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის კონცერტებისათვის, რომელსაც ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის სახალხო არტისტები ნ. რამიშვილი და ი. სუხიშვილი. ანსამბლის ტრიუმფული ტურნე აღნიშნა პრესამ და ლიბანის ტელევიზიამ. დღეგრძელი იყოს ლიბანისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობა“.

საინფორმის კორესპონდენტი შეხვდა ანსამბლის ერთ-ერთ ხელმძღვანელს ი. სუხიშვილს და სთხოვა გაეცნო კოლექტივის გეგმები.

— წელს ჩვენი ანსამბლი მეოთხედ ეწვევა ინგლისს, — თქვა ი. სუხიშვილმა. — თუმცა ჩვენ უკვე გამოვძებნეთ საერთო ენა ინგლისელ მაყურებლებთან, მაინც ეს მეტად პასუხსაგები გასტროლებია, და ჩვენ მეტად დაძაბულად ვემზადებით ამისათვის. ინგლისის შემდეგ გველის საგასტროლო მოგზაურობა ჰოლანდიაში. ეს იქნება მესამე შეხვედრა ჰოლანდიის საზოგადოებრიობასთან.

საზღვარგარეთ გამგზავრებამდე ჩვენ კონცერტებს გავმართავთ ლენინგრადსა და ბალტიისპირეთის ქალაქებში. მარტში საქართველოს ფილარმონიის დიდ დარბაზში შემოქმედებითი ანგარიშით წარვსდგებით თბილისელ მაყურებელთა წინაშე. ჩვენს შემოქმედებითს ბიოგრაფიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო მოსკოვის „რუსული ზამთრის“ ფესტივალში მონაწილეობა და კონცერტების სერია უკრაინაში.

ჩვენი ანსამბლის პროგრამა განახლებულია. ეს არის ახალი დადგმები — მასობრივი ცეკვა ზ. ფალიაშვილის ოპერიდან „დაისი“, „სადარბაზო“, „აჭარული სიუიტა“, „ხატრფიალი“. კოსტიუმები შესრულებულია რუსეთის სფსრ სახალხო მხატვრის, ლენინური პრემიის ლაურეატის ხ. ვირსალაძის ესკიზებით.

ახალი ხაგასტროლო პროგრამების მომზადების გარდა უპირველესი მნიშვნელობის საკითხად რჩება კადრების აღზრდა. ახლა ანსამბლის [illegible] პროფესორებს შედგენს ახალგაზრდა შესრულება. ახლებიდან ბევრი ქორეოგრაფიული სახლეობლების კურსდამთავრებულია.

[illegible] წინათ საქართველოს [illegible] ქორეოგრაფიულ [illegible] ეკსპერიმენტული სტუდიან ქართული ხალხური ცეკვის შესასწავლად. სტუდიას ვხელმძღვანელობთ ნ. რამიშვილი და მე. აქ მეცადინეობენ მოზარდები 13-დან 16 წლამდე. წელს იქნება პირველი გამოშვება. ბევრ კურსდამთავრებულს ჩვენს ანსამბლში მივიღებთ.

ხაუბრის დასასრულს ი. სუხიშვილმა თქვა, რომ ანსამბლი განუწყვეტლივ აფართოებს თავის რეპერტუარს, აცნობს ცეკვების მოყვარულთ ეროვნული ქორეოგრაფიული ხელოვნების მდიდარ მემკვიდრეობას. (ხაქინფორმი).

სპორტი

თბილისის საერთაშორისო

□ ვახტანგ ბალავაძის ჯრიზი — ალექსანდრე ილურიძეს □ სამი ქართველი ფალავანი □ თბილისიდან მაიამი-ბიჩამდე.

გოლიათთა ეთსოვებიან ასპარეზს...

სპორტის ხახასლე მსურვალე ტაშით მიესალმა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს, ამერიკელ სტეივ აივანოვს. 11 ათასამდე კილომეტრი აშორებს მის მშობლიურ მაიამი-ბიჩს ჩვენს თბილისს. მაგრამ მასპინძელთა სითბომ და სტუმართმოყვარეობამ, რამაც საქართველოს დედაქალაქის სტუმარი ადრეც იყო დარწმუნებული, უკარნახა მას ატლანტის ოკეანე პატარა და მეტად ძვირფასი ხუვნირით გადმოელახა. ეს იყო ოქროს სიმბოლური გასაღები, რომელიც გადაეცათ ქართული ჭიდაობის თაყვანცემის ვახტანგ ბალავაძეს, ვახტანგ კუხიანიძეს და ირაკლი სარაჯიშვილს.

იმ დღეს ჭიდაობის მოყვარულებმა კიდევ ერთხელ შეაზანზარეს სასახლის 10-ათასმაყურებლიანი კედლები—დიდ ასპარეზს ეთხოვებოდა სამი ფალავანი, სპორტის სამი დამსახურებული ოსტატი, მსოფლიოს პირველობების ჩემპიონები და პრიზიორები — აზერბაიჯანელი აიიან იბრაგიმოვი და ქართველები ზაურეგ ბერიაშვილი და შოთა ლომიძე, სახელგანთქმულმა სპორტსმენებმა ბევრი თბილი სიტყვა მოიხმინეს და ბევრი სამახსოვრო საჩუქარიც მიიღეს. მერე კი სარბიელს საპატიო წრე შემოუარეს. ბედნიერი გზით გვლოთ, ხალიჩის დიდოსტატებო, მრავალ თქვენისთანა გოლიათი გაგეზარდოთ საშობლოსათვის!

...ნახევარფინალურმა შეხვედრებმა მასპინძლებს წარუმატებლობაც მოუტანა და წარმატებაც. თუმცა, უნდა ითქვას, მოულოდნელობას და ხუნსაციას ადგილი არა ჰქონია. ახალგაზრდა დ. მორგომია 3 წუთსა და 45 წამში ბეჭებზე აღმოჩნდა გამოცდილ ქ. სტავროვთან (ბულგარეთი) შეხვედრაში. შ. პაპაშვილმა და მ. ჩხეიძემ ქულებით წააგეს, შესაბამისად, გროზნოელ ბ. ტუნგაევთან და მიუნხენის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორ მახაჩკალელ ა. ალაბეგოვიანთან. ვ. მარშანია ამ დღეს, სამწუხაროდ, დაშავდა მოსკოველ არმიელ გ. სტრახოვთან შეხვედრაში და მსაჯებმა მას დამარცხება მიუსაჯეს. გ. ყვარელაშვილმა და ბულგარელმა ი. იანკოვმა მშვიდობიანად დააგოვეს საჭიდაო ხალიჩა — ფრე.

თანაგუნდელების რ. ზუტაბასა და თ. ბენდიანიშვილის შეხვედრა დამთავრდა პირველის გამარჯვებით, ხოლო ი. ლეგაშვილმა დაამარცხა რ. დობორჯგინიძე; რომელმაც თავის მხრივ მოუგო ირანელ ჰ. ჰეიდარის. გ. მარსაგიშვილმა ქულებით სძლია რ. ელკანოვს, ა. ილურიძემ კი — ვ. პოტაპენკოს.

ორი ქართველი მოჭიდავე გავიდა ფინალში — ი. ლეგაშვილი (ქვემსუბუქი წონა) და ა. ილურიძე (პირველი საშუალო), ხოლო მძიმეწონასანმა ნ. მოდებაძემ სიკეთეკარელ ვ. პარშუკოვთან ქულებით გამარჯვების შემდეგ, ფინალამდე გაიხადა პირველი ადგილი. ამით ნოდარ მოდებაძე ზედიზედ მესამედ გახდა თბილისის საერთაშორისო ტურნირის ლაურეატი.

ი. ლეგაშვილს ტურნირში გამარჯვებისათვის კიეველ ვ. ჩერტკოვთან ქულებით წაგებაც კი აძლევდა ხელს, რადგან მას გადამწყვეტი ბრძოლის წინ მხოლოდ ერთი საჯარიმო ქულა ჰქონდა. „მინიმუმი“ შესრულებულ იქნა — ი. ლეგაშვილმა, რომელსაც ამ დღეს 20 წელი შეუსრულდა, ოქროს მედლის მოპოვებით მშვენიერი საჩუქარი გუუკეთა საკუთარ თავს.

4 წუთისა და 45 წამის შემდეგ თურქი ფალავანი ჰაარი ფოლადი ხალიჩაზე აღმოჩნდა ბეჭებზე. მსაჯმა ბრწყინვალე გამარჯვების ნიშნად ხელი აუწია სპორტის ოსტატ ა. ილურიძეს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ოთხგზის ჩემპიონმა პირველად გაიმარჯვა თბილისის საერთაშორისო ტურნირში. გამარჯვება მას პირველმა თვით ვახტანგ ბალავაძემ მიულოცა და საკუთარი პრიზიც გადასცა ახალგაზრდა ფალავანს.

დანარჩენ წონითს კატეგორიებში გიმარჯვეს: უმჩატესში — ჰ. ისაევმა (ბულგარეთი), მჩატეში — ა. ივანოვმა (სსრ კავშირი), მსუბუქში — ბ. გაჯიევმა (სსრ კავშირი), პირველ ქვესაშუალოში — კ. გოლიამმ (ირანი), მეორე ქვესაშუალოში — რ. აშურალიევმა (სსრ კავშირი), მეორე საშუალოში — ბ. პეტერსონმა (აშშ), ქვემძიმეში — ვ. გულუტკინმა (სსრ კავშირი).

...საპატიო კვირცხლბეგზე ერთმანეთს ცვლიან გამარჯვებულები — ცნობილი ქართველი ფალავნები საზეიმო ვითარებაში გადასცემენ მათ მედლებსა და პრიზებს.

აი „შესანიშნავი სამეულიც“ — ბულგარელი ჰასან ისაევი, ყაზახელი ვიქტორ მარკელოვი და სოხუმელი ვლადიმერ მარშანია. პირველი მათგანი, როგორც ტურნირის ყველაზე ტექნიკური მოჭიდავე, ღებულობს გაზეთ „ლელოს“ პრიზს, მეორე — გამარჯვებისაკენ სწრაფვისათვის — „მოლდიოქ გრუზიას“ რედაქციის ჯილდოს, ხოლო ვ. მარშანიას (ყველაზე სწრაფი გამარჯვებისათვის) მიეკუთვნა გაზეთ „კომუნისტის“ პრიზი.

ო. ნოზაძე.

• • •

სურათებზე: ზემოთ — მარცხნიდან — ზ. ბერიაშვილი. ა. იბრაგიმოვი და შ. ლომიძე, ზემოთ მარჯვნივ — ვ. ბალავაძის პრიზის მფლობელი ა. ილურიძე; ქვემოთ — „კომუნისტის“ პრიზის მფლობელი ვ. მარშანია.

ა. აკაკასიძის ფოტო.

ბეჭა დაკუხეთოთ ხაკეკულანტებს, მუქთახორებს

ჩვენში ახლა მტკიცე ბრძოლაა გაჩაღებული სპეკულანტების, გადამყიდველების, ქორავაჭრების წინააღმდეგ, ყველა გზა და ხერელი ეხშობა იმათ, ვინც ცდილობს თაღლითობით, ოილი გზით, უშრომლად იცხოვროს. ამ საერთო-სახალხო საქმეში ჩვენმა პარტიულმა, საბჭოთა, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, ფართო საზოგადოებამ ერთგვარ წარმატებას მიაღწიეს. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ბევრია შემოხვევა, როცა ირღვევა სოციალისტური თანაცხოვრების წესები, ზოგი კვლავ განაგრძობს უკუღმართ ცხოვრებას, დაეხეტება სხვა რესპუბლიკების ქალაქების ბაზრებსა და ქუჩებში, საქართველოდან გატანილი პროდუქტებით სპეკულანტობს და ამით ჩირქს სცხებს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელ ადამიანებს, არცხვენს იმათ, ვინც შრომითა და ოფლითაც მოუვანილია ეს პროდუქტები.

სწორედ ასეთი ხორცმეტების, სპეკულანტების გამოვლინებისა და მხილების მიზნით გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ ქალაქ მოსკოვში შინაგან საქმეთა ადგილობრივი ორგანოების მონაწილეობით მოაწყო რეიდი.

ყვავილები აქეთ, კარგი ყვავილები!..

ქალაქ მოსკოვის მილიციისა და „კომუნისტის“ რედაქციის ერთობლივი რეიდი

ზოსკოვი. „ჩერიომუშკის“ ბაზარი. დილის 10 საათია. ბერი ხალხი ტრიალებს. ისმის ხსვადასხვა ენაზე ლაპარაკი... აი ვიღაც გვედახის კიდევაც. ჩვენებური, მეგობარო, აქეთ, ჩვენკენ, ყვავილები, კარგი ყვავილები!

მივიხედეთ, ჩვენს ახლოს, მაღალი, კოხტად ჩაცმული ჭაბუკი იდგა, რომელსაც დახლთან ნაირნაირი ყვავილი დაეხვავებინა და ენაწყლიანად გვეპატიჟებოდა...

— „მთელ მოსკოვში მიხაკს ვერსად იშოვით, — თავმომწონედ გვეუბნება იგი, — იაფად — ცალს 3 მანეთად მოგართმევთ...

ასე გავიცანით გალის რაიონის სოფელ რეფოშვილეთის მკვიდრი ლ. გამისონია, რომელსაც მოსკოველ სპეკულანტთა შორის „ლიონიას“ სახელით იცნობენ. ის უკვე 6 თვეა დედაქალაქის ბაზარს არ მოსცილებია და რა ყვავილსაც მოისურვებთ, იმ წუთსვე გაგიჩენთ. ამ სპეკულანტს კარგად იცნობენ ადგილობრივი მილიცია და ბაზრის ადმინისტრაცია.

ლ. გამისონიასთან დიდი მეგობრობა აქვს ინესა გიორგის ასულ ახალაძეს. იგი დაბადებულია 1943 წელს, ჰყავს სამი შვილი. ინესა და გამისონია ჯერ ერთად „მოღვაწეობდნენ“ მოსკოვის ბაზრებში, ახლა კი ინესა მარტო ეწევა სპეკულაციას. ამას წინათ მილიციის თანამშრომლებმა ახალაძე 15 დღით დააკავეს. ყვავილები და ხურმა დიდი ოდენობით ჩამოართვეს.

ახალაძეს და გამისონიას „გვერეს უმშვენებს“ ოჩამჩირის მკვიდრი კოკავშირის ქ. № 138-ში მცხოვრები თინა დომენტის ასული ჯოლოღუა.

— რა ღირს თქვენი ლუფა? —ვეკითხებით მას. თინას ყვავილებთან ერთად დახლზე სხვადასხვა ზომის უამრავი ლუფა ჰქონდა ჩამწკრივებული.

— კარგ ხალხს ორ მანეთად ვაძლევ, — ურცხვად იცინის ჯოლოღუა შემდეგ კი თავს იმართლებს — ვერ იქნა და ვერ გავასაღე მთელიანად. მოსკოვში უკვე ოთხი თვეა ვცხოვრობ, მოვრჩები და ჰერი ოჩამჩირისაკენ.

უკანასკნელ ხანს მოსკოვის ბაზრებსა და ქუჩებში მნიშვნელოვნად იკლო, მაგრამ ჯერ კიდევ გვხვდებიან ჩვენი რესპუბლიკიდან ჩამოსული სპეკულანტები, გადამყიდველები, რომლებიც არცხვენენ, სახელს უტეხენ ჩვენს პატიოსან მშრომელებს. ოილი გზით გამდიდრების სურვილით შეპყრობილი ეს მუქთახორები თვეობით ცხოვრობენ მოსკოვში, თავს არიდებენ თავიანთ მშობლიურ სოფელსა თუ ქალაქში საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას.

გავიჩვევებას იწვევს ის, რომ ადგილობრივი ორგანოები — საბჭოების აღმასკომები და კოლმეურნეობათა გამგეობები მკაცრ ზომებს არ იღებენ ამ მუქთახორების წინააღმდეგ.

მოსკოვის სავაჭრო ადგილების ხშირი სტუმრები არიან ჩვენი რესპუბლიკის მცხოვრებლები ა. მუმლაშვილი, ი. კაკილაშვილი, ვ. ვარანია, ხ. აბრამიანი, გ. ჩაჩნელიანი. მათი მოქმედების სფეროა ხილეულით — ხურმით, მანდარინით, მსხლით ვაჭრობა. სოხუმის მკვიდრმა შ. კადელიამ მოსკოვში 70 ყუთი ხურმა ჩამოიტანა და სპეკულანტურ ფასებში ჰყიდდა.

ოჩამჩირის რაიონის სოფელ აგუბედიის მეხოვრები ნათელა ბადრის ასული შამათავა მრავალრიცხოვანი თჯახით მოვლენია მოსკოვს და ნათესავებით გარშემორტყმული ვაჭრობდა ლუოითა და ხილით ოქტომბრის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრის წიგნში აღრიცხული არიან ნ. შამათავა, ი. შამათავა, გ. შამათავა, ვ. შამათავა...

ზუგდიდის რაიონის სოფელ განმუხურის მკვიდრი ვალერიან ციკვაისძე ჩაპაძე, ი. და მ. ჩაპაძეებთან ერთად ერთ წლების მანძილზე ვაჭრობდნენ დაფნის ფოთლით და ლუფით. ისინი ყოველდღე ბაზარში დგანან.

რეიდის მონაწილენი სოუმიდან ჩამოსულ ნაირნაირ ყვავილებით დატვირთულ მთელ ბრიგადას წაწყდნენ, სპეკულანტებს ყვავილებით ვაჭრობა გაეჩაღებინათ. აქ იყვნენ ნ. თოდუა, მ. ციკვიტირია, ნ. ფანჩულია და სხვები.

ქორავაჭრებს თავისებურად მოუგვარებიათ მომარაგების საქმეც. ამ მიზნით კავშირი აქვთ ტრანსპორტის მუშაკებთან. ჩვენი რესპუბლიკიდან მოსკოვს მიმავალ № 2 და № 52 მატარებლებს დედაქალაქის კურსკის სადგურზე დილით ადრე მოუთმენლად ელიან სპეკულანტები. სხვადასხვა ვაგონების გამყოლი რკინიგზელები მოწიწებით აბარებენ მათ სანუკვარ ტვირთს შედარებით იაფ ფასებში და ისინიც გახარებული მიქრიან ბაზრებისაკენ, რათა მამასისხლად გაჰყიდონ იოლი გზით ნაშოვნი საქონელი.

ამ რამდენიმე თვის წინათ მოსკოვის მილიციამ ამხილა ორი გამოუსწორებელი ქორავაჭარი — ჯუმბერ აკაკის-ძე ხიტირი (მცხოვრები ლაანჩუთის რაიონის სოფელ ნიგოითში) და ანატოლი უშანგის-ძე თუნგია (მცხოვრები გალის რაიონის სოფელ მზიურში). პირველს 700 კილოგრამი პამიდორი აღმოაჩნდა „ვოლგის“ მარკის მანქანაში, მეორე კი სისტემატურად ვაჭრობდა ეოცასი ყვავილებით. სასალხო სასამართლომ გამოუსწორებელ სპეკულანტებს კუთვნილი სასჯელი მიუზღო. ახეთივე ბედი ეწია ვინმე ვ. კობახიძეს, ადრე სამჯერ ნასამართლევს ხილით სპეკულაციისათვის და პ. თოდოთაძეს ღვინით ვაჭრობისა და ფალსიფიკაციისათვის.

დაპატიმრეს და გასამართლეს აგრეთვე ქუთაისის მკვიდრი რუბენ ილიას-ძე ელუაშვილი, რომელიც ადრე ნასამართლევი იყო. იგი მოსკოველ ოლგა ემელიანეს ასულ შატოვასთან ერთად რბილი ავეჯის სხვადასხვა მარკის გარნიტურს ორმაგ ფასებში ჰყიდდა.

საყურადღებოა, რომ მოსკოვის ბაზრებზე ხშირად გვხვდებიან სხვა რესპუბლიკიდან ჩამოსული სპეკულანტები, რომლებიც, სამწუხაროდ, ხოფლის მეურნეობის პროდუქტებს საქართველოდან ჩამოტანილად ასაღებენ. საბუთების შემოწმებისას გამოირკვა, რომ მათ ჩვენს რესპუბლიკასთან საერთო არა აქვთ რა.

მართლაც, ამ ბოლო დროს დედაქალაქის ბაზრებზე, ქუჩებში და სხვ. მკვეთრად შემცირდა საქართველოდან ჩამოსულ სპეკულანტთა და გადამყიდველთა რიცხვი. იერძნობა ის დიდი მუშაობა, რასაც ჩვენი საზოგადოებრიობა ეწევა წესრიგის განმტკიცებისათვის, სპეკულანტების, მუქთახორობის, წარსულის მავნე გადმონაშთების აღმოსაფხვრელად, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვხვდებით ჩვენი ცხოვრების მუწუკებს.

ბოლომდე დაუნდობელი ომი მათ! გზა დავუხშოთ სპეკულანტებს, მუქთახორებს!

რეიდის მონაწილენი: ი. სიზოონენკო, ე. ვასილიევი — *ქალაქ მოსკოვის ოქტომბრის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკები, მილიციის ლეიტენანტები,* **ნ. მაკაროვი** — *მოსკოვის ქიმიური სინთეზის ინსტიტუტის თანამშრომელი,* **დ. მაჰავარინი** — *„კომუნისტის“ საკ. კორ.*

ოლიმპიადა ქვეყანაში

ბალეტის ოსტატი ბ. ბეჭედელი

ბალეტის ხელოვნებათმცოდნე კარენ ხაჩატურიანი. ამან მუზეუმს გადასცა თ. ი. შალიაპინის ფოტოსურათები, რომლებიც გადაღებულია 1936 წელს იაპონიაში.

დიდი რუსი მომღერლის ფოტოსურათები ერთადერთი ძვირფასი როდია მუზეუმისადმი ამ ბოლო დროებში. შალიაპინის ფოტოების ძვირფასი ნეგატივები და სურათები, რომელთა ნაწილი არასოდეს არ ყოფილა გამოქვეყნებული, მუზეუმს გადასცა კომპოზიტორმა ი. სლონიმმა. ისინი გადაიღო მამამისმა, დიდი მომღერლის მეგობარმა მ. სლონიმმა ადრე, 1903 წელს ერთად მოგზაურობის დროს.

ლ. ალექსანდროვსკაიამ — ბელორუსიის სსრ ოპერისა და ბალეტის თეატრის ცნობილმა მომღერალმა და რეჟისორმა მინსკიდან გამოგზავნა საინტერესო ფოტოსურათები. ეს ფოტოსურათები მისთვის უფიქრია ნაცნობ ჟურნალისტს, რომელმაც მთელი ომი საბჭოთა არმიის ნაწილებთან ერთად განვლო. მას ეს ფოტოსურათები უპოვია ერთ-ერთ განთავისუფლებულ რუსულ ქალაქში დოკუმენტების დიდ შეკვრას შორის, რომელთა დაწვა. პიტერელებს ვეღარ მოესწროთ.

ამ ფოტოსურათებიდან ბევრს უჩვენებენ გამოფენაზე „თ. ი. შალიაპინის შემოქმედება“.

ბეცხვარეოთის ჯიმთსაშენის „კაბადიანის“ სარეალი ჰაიტ ჰუსეინოვი გამარჯვებული გამოვიდა სამ მგელთან შერკინებაში.

...ღამით ყრუ ხრამიდან, რომელიც თარეხის მახლობლად მდებარეობს, მგლები მოცვივდნენ. ერთს მწყემსის ძაღლები გამოუდგნენ. ამ დროს კი სამი მტაცებელი, რომლებიც ფარეხს მეორე მხრიდან მიეპარნენ, ღობეს გადაეცლო და ცხვრის გამოყვანა დაიწყო ფარეხიდან. მაგრამ მათ ღობეზე არ უპარპაშიათ. ხმაურზე მორბინა ჰაიტ ჰუსეინოვმა და ეარში ჩადგა. პირველი გასროლითვე ერთი მგელი მოკლა. დანარჩენებმა ცხვრებს თავი ანებეს და ფარეხში დაიწყეს სირბილი. მეორე გასროლითაც ერთ მტაცებელს მოეფინა ბოლო, მესამე მგელი მწყემსს ეძგერა, მწყემსმა „კინდასი“ მოიგერია იგი. მას მიეშველნენ ბრიგადის სხვა მწყემსები. „კაბადიანის“ ლიტექციამ მამაც მწყემსს მადლობა გამოუცხადა და პრემია მისცა. (*ბარტუხი, ტაბიეთის სსრ. საკდესი*).

გარეული ღორი პარკში

ბერლინი. *იშვიათი ამბავი მოხდა ამას წინათ ბერლინში. ქალაქის ქუჩებში გამოჩნდა გარეული ღორი, რომელმაც ერთი ადამიანი ხეივანი გასეირნების ჩვეულებრივ ადგილად აირჩია. გამვლელებმა შენიშნეს „დაუპატიჟებელი სტუმარი“ და აცნობეს ეს მოყვარულ მონადირეს რიჰ�დ ლეხინგს.*

გამოცდილი მონადირე ძლივს მიეპარა ტახს და იქვე მოკლა.

ძოკლედ ყველაფერზე

ქვნად მუზეუმს. დიდი მომღერლის თ. ი. შალიაპინის 100 წლისთავის იუბილეს წინ ბახრუშინის სახელობის ცენტრალური თეატრალური მუზეუმის შალიაპინის უნიკალურ კოლექციას შეემატა ახალი საინტერესო მასალები.

2 თებერვალს მუზეუმში იყო ხელოვნებათმცოდნე კარენ ხაჩატურიანი. მან მუზეუმს გადასცა თ. ი. შალიაპინის იშვიათი ფოტოსურათები, რომლებიც გადაღებულია 1936 წელს იაპონიაში.

დიდი რუსი მომღერლის ფოტოსურათები ერთადერთი ძვირფასი როდია მუზეუმისადმი ამ ბოლო დროებში. შალიაპინის ფოტოების ძვირფასი ნეგატივები და სურათები, რომელთა ნაწილი არასოდეს არ ყოფილა გამოქვეყნებული, მუზეუმს გადასცა კომპოზიტორმა ი. სლონიმმა. ისინი გადაიღო მამამისმა, დიდი მომღერლის მეგობარმა მ. სლონიმმა ადრე, 1903 წელს ერთად მოგზაურობის დროს.

ლ. ალექსანდროვსკაიამ — ბელორუსიის სსრ ოპერისა და ბალეტის თეატრის ცნობილმა მომღერალმა და რეჟისორმა მინსკიდან გამოგზავნა საინტერესო ფოტოსურათები. ეს ფოტოსურათები მისთვის უფიქრია ნაცნობ ჟურნალისტს, რომელმაც მთელი ომი საბჭოთა არმიის ნაწილებთან ერთად განვლო. მას ეს ფოტოსურათები უპოვია ერთ-ერთ განთავისუფლებულ რუსულ ქალაქში დოკუმენტების დიდ შეკვრას შორის, რომელთა დაწვა. პიტერელებს ვეღარ მოესწროთ.

ამ ფოტოსურათებიდან ბევრს უჩვენებენ გამოფენაზე „თ. ი. შალიაპინის შემოქმედება“.

ბეცხვარეოთის ჯიმთსაშენის „კაბადიანის“ სარეალი ჰაიტ ჰუსეინოვი გამარჯვებული გამოვიდა სამ მგელთან შერკინებაში.

...ღამით ყრუ ხრამიდან, რომელიც თარეხის მახლობლად მდებარეობს, მგლები მოცვივდნენ. ერთს მწყემსის ძაღლები გამოუდგნენ. ამ დროს კი სამი მტაცებელი, რომლებიც ფარეხს მეორე მხრიდან მიეპარნენ, ღობეს გადაეცლო და ცხვრის გამოყვანა დაიწყო ფარეხიდან. მაგრამ მათ ღობეზე არ უპარპაშიათ. ხმაურზე მორბინა ჰაიტ ჰუსეინოვმა და ეარში ჩადგა. პირველი გასროლითვე ერთი მგელი მოკლა. დანარჩენებმა ცხვრებს თავი ანებეს და ფარეხში დაიწყეს სირბილი. მეორე გასროლითაც ერთ მტაცებელს მოეფინა ბოლო, მესამე მგელი მწყემსს ეძგერა, მწყემსმა „კინდასი“ მოიგერია იგი. მას მიეშველნენ ბრიგადის სხვა მწყემსები. „კაბადიანის“ ლიტექციამ მამაც მწყემსს მადლობა გამოუცხადა და პრემია მისცა. (*ბარტუხი, ტაბიეთის სსრ. საკდესი*).

ჩვენი პრიზიორი

26 წლის ვლადიმერ შარშანია („განთიადი“, სოხუმი) — სსრ კავშირის 1972 წლის ჩემპიონია მეორე საშუალო წონაში. იგი აფხაზეთის დედაქალაქის ინდუსტრიულ ტექნიკუმში სწავლობს მეოთხე კურსზე. ჭიდაობას მისდევს 7 წელია, მას ავარჯიშებს საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ბ. ჯოლოკუა.

— დიდად მობარული ვარ, რომ „კომუნისტის“ პრიზის მფლობელი გავხდი, — გვეუბნება ვ. მარშანია და ხუმრობით დასძენს, — გულშემატკივრები ჭიდაობის საყურებლად მოვიდნენ, მე კი ამისათვის... 10 წამში წავაქციე ირანელი მასერ ზეინალიევი. ეს პროტენტს შედგენს ახალგაზრდა შესრულება. ახლებიდან ბევრი ქორეოგრაფიული სახლეობლების კურსდამთავრებულია.

[illegible] ქართული ხალხური ცეკვის შესასწავლად. სტუდიას ვხელმძღვანელობთ ნ. რამიშვილი და მე. აქ მეცადინეობენ მოზარდები 13-დან 16 წლამდე. წელს იქნება პირველი გამოშვება. ბევრ კურსდამთავრებულს ჩვენს ანსამბლში მივიღებთ.

ხაუბრის დასასრულს ი. სუხიშვილმა თქვა, რომ ანსამბლი განუწყვეტლივ აფართო